ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 სექტემბერი 2004 №214 (2235) ფასი 50 თეთრი


## ვისაც გაუშვებ, იმისგან გაუშვებ ლარსონი გაიტანდა...




სელტიკი — ბარსელონა 1:3. კრის სატონის გოლმა მასპინძლებს იმედი კი მისცა, მაგრამ ლუდოვიკ ჟიულიმ და ჰენრიკ ლარსონმა კატალონიაში სამი ქულა წაიღეს

## დინამომ წყალზე უნდა გაიაროს



კობა ინასარიძე კრაკოვიდან

თბილისიდან კრაკოვში AH-24-ით ჩამოვფრინდით. ფრენა ძალიან დამღლელი გამოდგა. თავად წარმოიდგინეთ, ჰაერში 6 საათი ვიყავით, თან საწვავის დასამატებლად სიმფეროპოლში დავეშვით, რამაც 40-45 წუთი წაიღო და სწორედ ამ დროს მომეცა შანსი, „დინამოს" თავკაც *გია გეგუჩაძეს* გავსაუბრებოდი...

— როგორც 7 წლის წინ „ბილბაოსთან" შეხვედრამდე „დინამო" ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის ზღვართანაა...

— ეს ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. თუ შევძელით და „ვისლა" გავიარეთ, გარდატეხა არამარტო ქართულ ფეხბურთში, არამედ ცხოვრების სხვა სფეროებშიც მოხდება. ხომ ნახეთ, ოლიმპიური ოქროს მედლების მოპოვებაც მოვახერხეთ. ათენში კარგად გამოჩნდა, რომ ქართველებს დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შეგვიძლია და უნდა იბრძოლოს „დინამომაც". დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს წლებში „დინამოს" მიერ „ვისლას" დამარცხებას სენსაციად კი არა, ჩვეულებრივ ამბად აღიქვამენ.

— ირაკლი ზოიძე თუ ითამაშებს?

— ზოიძე ორი დღეა, სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ითამაშებს კიდეც.

— „ვისლაზე" ინფორმაცია საკმარისი გაქვთ?

— „ვიტ ჯორჯიასთან" თამაშის გარდა, ვნახე პოლონელების „რეალთან" და ჩემპიონატში „პოგონთან" თამაშების ფირები. მოკლედ, საკმაო ინფორმაცია მაქვს. ჩემი თანაშემწე ჯემალ მახარაშვილი კრაკოვში დაგვხვდება და დამატებით ინფორმაციასაც მომაწვდის. ის ოთხი დღეა, უკვე კრაკოვშია და იქაურ ამბებს დაგვახვედრებს.

— შეგიძლიათ, „ვისლა" და ჩეხური „სლავია" შეადაროთ ერთმანეთს?

— არა. აბსოლუტურად განსხვავებული სტილის გუნდები არიან. „ვისლა" გაცილებით სოლიდური და სერიოზულია, სლავური გუნდების კვალობაზე საკმაოდ ტექნიკურიც. თანაც „ვისლა" უფრო შემტევი გუნდია და ეს ნებისმიერი მეტოქისთვის სახიფათოა.

— რას ელით თამაშისგან?

— მიჭირს პროგნოზის გაკეთება. ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება და იმედი მაქვს, თავს არ შევირცხვენთ.



## მაკედონია — საქართველო

15 სექტემბერი. სკოპიე. 20.30



## ქართველებმა მაკედონია გაარემონტეს

ფინური ალაფით მაკედონიას ნასტუმრები ქართველები დღეს ჩვენი დროით ცხრის ნახევარზე სკოპიეს გადაჭედილ „გრაცკი პარკში" მასპინძლებს შეებმებიან.

გადაჭედილიო, ვამბობთ, მაგრამ რა უნდა მოხდეს, მაკედონიელებს იმის მეხუთედი ქომაგი მოუგროვდეთ, რამდენიც ქართველებს ფინელებთან 11 სექტემბერს. მასპინძლებს შევსებული ტრიბუნების ეფექტით სურთ „ხუთჯვაროსნების" ბრძოლისუნარიანობის დაკნინება და მატჩი სარემონტო, 1500-კაციან „გრაცკი პარკში" დანიშნეს, არადა, 5-ათასიანი დარბაზიც მოეძევებათ.

„დარბაზი ძველია და ნაკლებად კომფორტული. მის შემხედვარეებს სპორტის სასახლეში თამაში მოგვინდა — გვითხრა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა სკოპიედან — ორ ადგილას პარკეტი ჩავარდნილია, ერთგან კი პირდაპირ ლურსმნები იყო ამოჩრილი. მუშები იყვნენ და ლურსმნები ჩააჭედეს, ხვალისთვის ალბათ პარკეტსაც გაასწორებენ."

დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდი სკოპიეში 5 საათზე ჩავიდა, ცოტა დაისვენა და „გრაცკი პარკში" წაივარჯიშა. ქართველებამდე ივარჯიშეს მაკედონიელებმა და, რაც ჩვენთვის ყველაზე სასიხარულოა, პეტარ ნაუმოსკის, ვლადო ილიევსკისა და ვრბიცა სტეფანოვის გარეშე. ნაუმოსკი მაკედონიის პარლამენტშია და ამბობს, ბურთს აღარ გავედევნებიო. ილიევსკი ბარსელონელია და თავს უფრთხილდება, სკოპიეში ჩასული სტეფანოვი კი გუშინწინ გაბრუნებულა იტალიაში, დაზღვევის გარეშე არ ვითამაშებო.

მაკედონიელთა ლიდერების დაფანტვის გამო დრაჟენ ბრაიკოვიჩის სამწყსო სრულებით არ არხეინობს და მოახლოებული ბრძოლისთვის ემზადება. ვინ იცის, ლიდერთა ტრიო მართლა „აჯანყდა", თუ ეს მაკედონიელთა მზაკვრული ფანდია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ფედერაციის მესვეურებს ბოლომდე არ სჯერათ მათი.

სხვა მხრივ კი ჩვენს ბანაკში სიმშვიდეა, გუშინ ფეხნატკენმა ნიკა ცქიტიშვილმაც ივარჯიშა მსუბუქად. თუ რას მოვიმკით მაკედონიელებთან მატჩში, დღეს „რუსთავი 2-ის" პირდაპირ ეთერში იხილავთ.

**ირაკლი ბერტაია**

## უეფას თასი 2004-2005

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

კრაკოვი. 16 სექტემბერი. 19 საათი. ჟორდანს პარკი

**ვისლა — დინამო**



# კრაკოველებმა გოლები ჩამოიკლეს

# KASPERCZAK KOMPLEMENTUJE DINAMO



*კობა ინასარიძე კრაკოვიდან*

კრაკოვში გვიან ღამით ჩამოვედით. აეროპორტში „ვისლას“ წარმომადგენელთა გარდა ორი ფანიც დაგვხვდა. მიზეზს არ იკითხავთ? „ვისლას“ ფანები თბილისური მატჩის ბილეთების „დასაჯავშნად“ დაგვხვდნენ. მათი თქმით, დარწმუნებულები არიან, რომ თბილისში სტადიონი გაივსება და „დინამოს“ ხელმძღვანელობას სთხოვეს, იქნებ აქედანვე გაითვალისწინოთ ჩვენი სათხოვარი და თბილისში უბილეთოდ არ დაგვტოვოთო.

აეროპორტშივე იგრძნობა, რომ მოწესრიგებულ ქალაქში ჩამოვედით. პირველი, რაც თვალში გეცემა, სისუფთავეა. ნაგავი კი არა, ქუჩაში ფოთოლსაც ვერ ნახავთ. ტემპერატურაც ნორმალურია — 16 გრადუსი.

„დინამო“ კრაკოვში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოფრინდა. გია გეგუჩაძეს მხოლოდ რომერო, ლევან სილაგაძე და ლადო ახალაია არ ეყოლება, თუმცა ეს დანაკლისი „დინამოსთვის“ უკვე არახალია.

უცნაურია, მაგრამ კრაკოველები ძალიან განიცდიან, რომ პატარა აეროპორტი აქვთ. მილიონიანი ქალაქი გვაქვს და ასეთი პატარა აეროპორტი არ გვეკადრებაო. არადა, რომ შევადაროთ, მილიონნახევრიან თბილისს ამაზე პატარა აეროპორტი აქვს და თან საზიზღრად მოუწესრიგებელი.

„დინამო“ საკმაოდ პრესტიჟულ სასტუმრო „პიაცაში“ დაბინავდა. ეს სასტუმრო ცოტა ხნის წინ თურმე მადრიდის „რეალსაც“ შეუგულებია კრაკოვში ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩისას. მაგრამ როცა მადრიდელები „პიაცას“ მისდგომიან და მათ ავტობუსს ადევნებული ასობით კრაკოველი ფანი დაუნახავთ, ჩანაფიქრი უმალ შეუცვლიათ, აქ ხალხი შეგვაწუხებსო და ქალაქგარეთ დაბინავებულან.

„პიაცა“ კი „ვისლას“ სტადიონთან ახლოსაა. „ჟორდანს პარკის“ შეთვალიერებაც უკვე მოვასწარი და ეტყობა, რომ ძველი და გაურემონტებელია, თუმც მოედნის საფარი მართლაც იდეალურია. როგორც აქაურებმა მითხრეს, ეს საფარი თავის დროზე გერმანელებს დაუგიათ და წუნი არ დაედებაო.

კრაკოვში მართლაც დაგვხვდა გეგუჩაძის თანაშემწე *ჯემალ მახარაშვილი*, რომელიც „დინამომ“ მეტოქის დასაზვერად ოთხი დღის წინ გამოუშვა. მასთან გასაუბრებაც აეროპორტში მოვახერხე...

— ორიოდ დღის წინ დავესწარი „ვისლა“ — „პოგონის“ მატჩს. კრაკოველებმა 5:0 მოიგეს. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ ჩვენს მეტოქეს დიდი უპირატესობა ჰქონდა. არადა, პირველ ტაიმში „პოგონმა“ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია პოლონეთის ჩემპიონს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ „ვისლამ“ მეტოქე კლასის და გამოცდილების ხარჯზე დაამარცხა. გამორიცხული არც ისაა, რომ „ვისლამ“ ძალები დაზოგა.

— რა ნაკლი შეამჩნიეთ „ვისლას“?

— აქაურებმა მითხრეს, „ვისლას“ სუსტი დაცვა ჰყავსო, მე კი სხვა აზრი მაქვს. „პოგონთან“ მატჩშიც გამოჩნდა, რომ ეს მართალი არ არის. კრაკოვული გუნდი ყველა რგოლში ძლიერია, თუმცა რაღაც ნაკლი ყველა გუნდს აქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ.

მასპინძლებმა კი „დინამოზე“ თითქმის ყველაფერი იციან და სულაც არ თვლიან, რომ იოლი თამაშის ელით. კლუბის წარმომადგენელთა თქმით, „დინამო“ მათ მიერ დაჩაგრულ „ვიტ ჯორჯიას“ აშკარად სჯობს. „ვისლას“ თავკაც ჰენრიკ კასპერჩაკს უთქვამს, „დინამოსთან“ 2:0 სრულიად საკმარისი იქნებაო. თუმცა, კრაკოველთა მორიდებული განცხადებების მიუხედავად, იგრძნობა, რომ ესენი საკმაოდ თავდაჯერებულები არიან.

გეხსომებათ, ბელარუსულ ბატესთან მატჩამდე „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა გაგვიმხილა, ჩემი გუნდის ავი თვალისგან დასაცავად ნალი გამოვჭედე და ნახეთ, თუ არ გვიშველისო. მაშინ „დინამოს“ ნალმა მართლა უშველა და მეც უნებლიეთ ახალი კითხვა გამიჩნდა პეტრიაშვილის მიმართ. პასუხი ახლაც იმედიანი მივიღე: იმ ნალმა თავისი საქმე გააკეთა, ახლა კი „ვისლასთან“ ახალი თილისმა მაქვს, თუმც ჯერ არ გაგიმხელთო.

„ვისლა“ — „დინამოს“ მატჩზე ანშლაგს ელიან. ბილეთის ფასი 5-7 დოლარის ექვივალენტია და, როგორც გავიგე, სულ მცირე, 10 000 კაცი მაინც მოვა სტადიონზე.

# მაგრად გადავრჩი!

## აშვეთიას როტორს შეპირდნენ



თვეზე მეტია, მიხეილ აშვეთია მოედანზე არ გასულა. რუსეთის თასის მერვედფინალში ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან“ მატჩში მძიმედ დაშავებული ქართველი თავდამსხმელი ამ ხნის განმავლობაში მკურნალობდა და ახლა უკვე ჯანზეა. ამასობაში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ერთად საქართველოს ნაკრებიც შედეგიანად ათამაშდა და, ბუნებრივია, აშვეთიას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რეალობას ფეხი აუწყოს, თუმც მიხოს ამის არ ეშინია. ერთი სული მაქვს, მოედანზე როდის გავალო, გვითხრა გუშინ აშვეთიამ და დაამატა, მგონი, „როტორთან“ ვითამაშებო...

ერთი სიტყვით, მიხოს გუშინ მოსკოვში რომ შევეხმიანეთ, გამოჯანმრთელებაც მოვულოცეთ და სხვა ამბებიც გამოვკითხეთ...

— უკვე ისე გამოვჯანმრთელდი, ვოლგოგრადში „როტორთან“ ალბათ ვითამაშებ, ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელებმა ასე მითხრეს და იმედია, სიტყვასაც შეასრულებენ.

— ფიზიკურადაც ბოლომდე მოღონიერდი?

— თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მგონი, დასვენება მომიხდა კიდეც. ერთი კვირაა, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და სათამაშოდაც მზად ვარ.

— წინა ტურში ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ მატჩში სათადარიგო იყავი, მაგრამ იური სიომინმა 0:3-ზეც არ შეგიშვა მოედანზე. თან ექიმებს უთქვამთ, აშვეთიას 10-15 წუთით თუ შეუძლია თამაშიო...

— ასეთი მძიმე ტრავმის მერე აქ ყველა ფრთხილობს. ახლახან გამოკვლევა ჩამიტარეს და დამტკიცდა, რომ აღარაფერი მაწუხებს. ორი-სამი დღის წინ სარეზერვო გუნდშიც უნდა მეთამაშა, მაგრამ ხელოვნურ საფარზე ყოფილა მატჩი დაგეგმილი და სიომინმა უარი მითხრა — მაგას ჯობს, დაისვენოო.

— შენი ტრავმა ძალიან რთული გამოდგა — მეხსიერება დაკარგე...

— იმ დღეს არაფერი მახსოვდა, მეორე დღეს რაღაც-რაღაცები გავიხსენე, ის მაინც ვიცოდი, რომ მიხეილ აშვეთია ვიყავი. მერე კი თანდათან მეხსიერებაც დამიბრუნდა. მართლა მაგრად გადავრჩი.

— სიომინს ბოლოხანს თუ ესაუბრე?

— კი, თავად ითხოვა ჩემთან შეხვედრა და მითხრა, აბა, შენ იცი, მალე გამოჯანმრთელდიო. მე კიდე ველარ ვითმენ, უკვე ჯანმრთელად ვარ.

— ესე იგი, „როტორთან“ დაბრუნდები...

— ყოველ შემთხვევაში, ასეა ჩაფიქრებული. სიომინმა მითხრა, მოემზადე და შეცვლაზე აუცილებლად გათამაშებო.

— ამასობაში „ლოკომოტივმა“ სერბი თავდამსხმელი მილან იოვანოვიჩი შეიძინა და ერთი კონკურენტიც მოგემატა...

— იოვანოვიჩი მთლად თავდამსხმელი არაა, უფრო ნახევარდაცვაში თამაში უყვარს, თუმც ამას რა აზრი აქვს — კონკურენცია „ლოკომოტივში“ აქამდეც დიდი იყო.

— იმიჯი ისევ შეცვლილი გაქვს?

— გადაპარსულ თავზე მეკითხები? თმა უკვე ამომივიდა, ოღონდ ჯერ დაბალზეა.

— ეგ ცრურწმენა იყო თუ...

— არა, რას ამბობ, არანაირი ცრურწმენა არ მაქვს, უბრალოდ, მომინდა და გადავიპარსე.

— შენს არყოფნაში კი საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გალიდერდა...

— ეს მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი იყო ჩემთვის. ძალიან გამიხარდა, რომ ბიჭებმა ორივე მატჩში თავდაუზოგავად იბრძოლეს და პირველ ადგილზე ვართ. ასევე უნდა გავაგრძელოთ.

— ალენ ჟირესმა თქვა, დიდი იმედი მაქვს, აშვეთია მალე მომჯობინდება და უკრაინასთან დაგვეხმარებაო...

— მეც ამის იმედი მაქვს. ვფიქრობ, უკრაინასთან მატჩამდე ფორმის აღდგენას მოვასწრებ და ნაკრებსაც სიამოვნებით შევეშველები. მინდა, ჟირესს გავუმართლო.

**კახა შალამბერიძე**



მიხეილ აშვეთიას ბრძოლა-თამაში მოენატრა

მეორე ბუნდესლიგის ბოლო, მეოთხე ტურში დავით სირაძეს დებიუტი ჰქონდა ტრირის „აინტრახტში". სირაძეს კოჭის ტრავმა აწუხებდა და ამის გამო გაუცდა პირველი სამი ტური. ეს ნახევარმცველი საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის ალენ ჟირესის თვალთახედვის არეშიცაა და სირაძის ამბები, ცხადია, ინტერესმოკლებული არ არის

# მეორე ბუნდესლიგა ძალიან დამძიმდა

## სირაძე ლინცს ნაკრებზე ელაპარაკა და ჟირესისთვის ემზადება

— ტრირული დებიუტი ნორმალური გამომივიდა. თუმც შეცვლაზე ვითამაშე და მხოლოდ 30 წუთი დავყავი მოედანზე. გამთამაშებლის ფუნქციებს ვასრულებდი. „ფიურტისთვის" უნდა მოგვეგო, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ და საბოლოოდ უგოლო ფრეს დავჯერდით.

— ამ ბუნდესლიგაში „ტრირს" ჯერ არ მოუგია — სამი ფრე და ერთი წაგება...

— „ტრირის" ფორვარდებს ოთხი თამაშიდან ერთხელაც არ გაუტანიათ. მოკლედ, წინა ხაზში პრობლემები გვაქვს. შეიძლება, ჩემი ყოფილი თანაგუნდელი დავიმატოთ — ბერლინის „უნიონის" სერბი ფორვარდი ფრედო რისტიჩი. მომდევნო მატჩი „ალენთან" გველის გასვლაზე და აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

— „უნიონს" და „ტრირს" როგორ შეადარებდი ერთმანეთთან?

— „ტრირი" უფრო ძლიერი, ჩამოყალიბებული გუნდია, რომელიც უფრო კლასიან ფეხბურთს თამაშობს.

— წინა სეზონში „უნიონი" მეორე ბუნდესლიგიდან გავარდა — „ტრირი" რა მიზნისთვის იბრძოლებს ამ სეზონში?

— კონკრეტული მიზანი არ გვაქვს, თუმც გერმანიაში ახლა ყველა იმას ლაპარაკობს, რომ ასეთი ძლიერი მეორე ბუნდესლიგა ჯერ არ ყოფილა — საამსეზონოდ პირველიდან მეორე ბუნდესლიგაში ისეთი სახელიანი და ძლიერი გუნდები ჩამოქვეითდნენ, როგორებიც „1860", ფრანკფურტის „აინტრახტი" და „კიოლნი" არიან.

— ტრავმის გამო თითქმის ერთი თვე არ გითამაშია და უკვე შეგიძლია, ორ ტაიმს გაუძლო?

— საამისოდ უკვე მზად ვარ და იმედი მაქვს, რომ „ალენთან" სასტარტოში ვიქნები. „ტრირის" მწვრთნელი პაულ ლინცი დილის ვარჯიშის შემდეგ საღამოს ცალკე მავარჯიშებდა, რათა ტრავმის გამო დაკარგული კონდიციები მალე აღმედგინა. საერთოდ, ლინცს ძალიან კარგი ვარჯიშები და ფეხბურთელებთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს.

— ჟირესის გაწვრთნილ ეროვნულ ნაკრებში ორჯერ ითამაშე — როგორ ფიქრობ, მზად ხარ სანაკრებო კონკურენციისთვის?

— სწორედ იმისთვის ვემზადები, რომ ნაკრებში გამომიძახონ. ნაკრების ძირითადში თამაში მსურს და საამისო ძალაც შემწევს. ამის შესახებ ლინცსაც ველაპარაკე — „ტრირში" რეგულარულად თამაში ჩემთვის იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ნაკრებში მოვხვდე-მეთქი.

**დავით თავართქილაძე**



დავით სირაძეს ტრირული დებიუტი „ფიურტთან" მატჩში ელირსა

# სვანაძეს კიევის დინამო მოარჩენს

კიევის „დინამო" რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში თავისი პირობებით საუკეთესო კლუბია, საკამათო არ არის. საუცხოო ბაზაზე ვარჯიშისა და დასვენების ყველა პირობაა შექმნილი. სამი წლის წინ კი უკრაინულმა გრანდმა ულტრათანამედროვე აღდგენითი ცენტრიც აიშენა, რომელიც ტრავმისშემდგომ პერიოდში ფეხბურთელს მოედანზე დაბრუნებას ერთიორად უმსუბუქებს.

ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ხვალიდან „დინამოს" განთქმულ აღდგენით ცენტრს ჩვენებური რამაზ სვანაძეც მიაკითხავს. ის ახლა კიევშია და ალეკო ამისულაშვილთან ცხოვრობს.

— ახლა მთელი „დინამო" რომშია ჩემპიონთა ლიგის მატჩზე, ჩამოვლენ და კლუბის უფროსობას ვარჯიშისა და რეაბილიტაციის თაობაზე შევუთანხმდები. კიეველთა ნაქები ბაზის დათვალიერება ჯერ ვერ მოვასწარი, მაგრამ ალეკომ მითხრა, ძალიან მაღალი დონეაო. მეც ეგ მინდა. სარეაბილიტაციო კურსის შემდეგ ეგებ ფეხბურთში მოსალოდნელზე ადრე მოვახერხო დაბრუნება — გვითხრა გუშინ კიევში მყოფმა სვანაძემ.

**დავით ერაძე**

# ეს ჯერ მხოლოდ გამოცდაა

## ამერი უმაღლესში ახლავე ითამაშებდა



გიორგი ჩიხრაძის ფეხბურთელებისთვის პირველი წრე გამოსაცდელია

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგას თბილისის „ამერი" ისე ლიდერობს, რომ ოთხივე მატჩი მოიგო, 17 გოლი გაიტანა და ერთიც არ გაუშვია. „ამერი" თასის გათამაშებაშიც წარმატებით გამოდის — მერვედფინალში გავიდა, სადაც უმაღლესლიგელი „სიონი" ელის.

სეზონის წინ გუნდმა რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა, ისეთები, ვისაც უმაღლეს ლიგაში წარმატებით უთამაშია და სახელი დაუგდია. მოკლედ, „ამერი" უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია და მის მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძესთან საუბარიც აქედან დავიწყეთ

— პირველი ლიგის ფავორიტის როლში თავს კომფორტულად გრძნობთ?

— საქმე ისაა, რომ გუნდის შექმნისკენ ჯერ მხოლოდ ერთი ეტაპი გავიარეთ — ერთი მოსამზადებელი პერიოდი უკან მოვიტოვეთ და წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ. მიზანი უმაღლეს ლიგაში გადასვლაა და კიდევ თასზე რაც შეიძლება მეტი ეტაპის გადალახვა.

— წინა სეზონი „ამერმა" ისე დაიწყო, რომ თითქმის ნახევარი გუნდი 15-16 წლის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ახლა „ამერში" მეტწილად გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ — გუნდმა სტრატეგია შეიცვალა?

— მოვიყვანოთ მხოლოდ გამოცდილი ფეხბურთელები და მყისვე უმაღლეს ლიგაში გადავიდეთ — საკითხი მთლად ასე არ დგას და ახალგაზრდა ფეხბურთელების გაზრდა „ამერისთვის" კვლავაც ძალიან მნიშვნელოვანია. მოკლედ, „ამერის" სტრატეგია არ შეცვლილა.

— გასაგებია, მაგრამ ამ სეზონისთვის „ამერმა" თითქმის სულ უმაღლეს ლიგაში გამობრძმედილი ფეხბურთელები დაიმატა...

— კი, მაგრამ არაა აუცილებელი, რომ ყველა პოზიციაზე გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ. ჩვენ შანსს ახალგაზრდებსაც ვაძლევთ.

— მიგაჩნიათ, რომ ახლანდელი პირველი ლიგა შარშანდელზე უფრო სუსტია?

— ქართულ ფეხბურთში შექმნილი ფინანსური პრობლემები პირველ ლიგაზეც ახდენს გავლენას. პრობლემატურია ისიც, რომ უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ათი გუნდია და ათივე ისეთი არ არის, რომ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში დაძაბულობა იყოს. თანაც საამსეზონოდ პირველი ლიგიდან უმაღლესში საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გადავიდა. ერთი სიტყვით, ახლანდელი პირველი ლიგა შარშანდელს არ ჯობია.

— უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში თქვენს კონკურენტებად რომელ გუნდებს მიიჩნევთ?

— ჯერ ოთხი ტურია ჩავლილი და ამ ეტაპზე ჩვენი კონკურენტების შესახებ ვერაფერს გეტყვით.

— ამ შემადგენლობით უმაღლეს ლიგაში რომ იყოთ, როგორ ფიქრობთ, რა პოზიციაზე იქნებოდით?

— არ შევრცხვებოდით და ღირსეულად ვითამაშებდით — უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაგვიჭირდებოდა და ბევრად უფრო მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებდით.

— „ამერის" ხუთი ფეხბურთელი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებშია მიწვეული — 21-წლამდელთა ნაკრებისთვისაც ხომ არ გაუწევდით რეკომენდაციის „ამერის" რომელიმე ფეხბურთელს?

— რეკომენდაცია შეიძლება მართლაც გავუწიო რომელიმე ამერელს, მაგრამ პირველი ლიგის ფეხბურთელებს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა მწვრთნელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ჩვენი ფეხბურთელები რეკომენდაციებს არ უნდა დაელოდნონ და თავიანთი თამაშით უნდა მიიქციონ ყურადღება.

— ისეთი გამოცდილი ფორვარდი, როგორიც ალექსანდრე კაიდარაშვილია, ამ სეზონში, ფაქტობრივად, საყრდენ ნახევარმცველად გაამწესეთ — თვლით, რომ კაიდარაშვილმა თავდამსხმელის პოზიციაზე საკუთარი თავი ამოწურა?

— როცა ეს ნაბიჯი გადავდგით, ნახევარდაცვის გაძლიერების გარდა ერთი ფაქტორიც გავითვალისწინეთ: როცა კაიდარაშვილი თავდასხმაში თამაშობდა, საქმეს თავს კარგად ართმევდა, მაგრამ მის კარიერაში პრობლემებიც იყო — ტრავმები, უთამაშებლობა და როცა ფორვარდს გოლი ვერ გააქვს, ასეთი უარყოფითი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამოსვლა მისთვის ძალიან ძნელია. ასეთ დროს საჭიროა ცვლილება. ახლა კი კაიდარაშვილმა უკვე დაიჭირა თავისი თამაში, კალაპოტში ჩადგა და საჭიროების შემთხვევაში მისი კვლავ ფორვარდად გამოყენებაც შეიძლება.

— „ამერის" სასტარტო თერთმეტეულიდან შვიდი უმაღლეს ლიგაში გამობრძმედილი ფეხბურთელია, რომელთა ტოლსწორად შემცვლელები გუნდში ნაკლებად ჩანან. დიდი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდისთვის კი მძაფრი კონკურენცია აუცილებელია, თანაც ტრავმიანობაც არაა გამორიცხული — პირველი წრის შემდეგ გამოცდილი მოთამაშეების დამატებას აღარ აპირებთ?

— ამ თვალსაზრისით კიდევ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის დამატება არ გვაწყენდა, თუმც ყველაფერს დრო გვიჩვენებს — პირველი წრე ბევრ რამეს კარგად დაგვანახვებს, ეს გამოსაცდელი პერიოდია ყველა ამერელისთვის.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველოს ეროვნული გუნდი

| № | თარიღი | ს | რ | მეტოქე | ანგ | მეგოლეები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 | |
| 2 | 17/09/92 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 6:3 | ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 3 | 22/12/92 | ს | ამ | კვიპროსი | 0:1 | |
| 4 | 25/05/93 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 5 | 08/02/94 | ნ | სტ | სლოვენია | 0:1 | |
| 6 | 10/02/94 | ს | სტ | მალტა | 1:0 | ქეცბაია |
| 7 | 12/02/94 | ნ | სტ | ტუნისი | 2:0 | ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 8 | 23/02/94 | ს | ამ | ისრაელი | 0:2 | |
| 9 | 11/06/94 | ს | ამ | ნიგერია | 1:5 | რ. არველაძე |
| 10 | 26/06/94 | ს | ამ | ლატვია | 3:1 | დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 11 | 19/07/94 | შ | ამ | მალტა | 1:1 | შ. არველაძე |
| 12 | 07/09/94 | შ | ეჩ | მოლდოვა | 0:1 | |
| 13 | 12/10/94 | ს | ეჩ | ბულგარეთი | 0:2 | |
| 14 | 16/11/94 | შ | ეჩ | უელსი | 5:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 15 | 14/12/94 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | შ. არველაძე |
| 16 | 29/03/95 | შ | ეჩ | გერმანია | 0:2 | |
| 17 | 26/04/95 | შ | ეჩ | ალბანეთი | 2:0 | შ. არველაძე, ქეცბაია |
| 18 | 07/06/95 | ს | ეჩ | უელსი | 1:0 | ქინქლაძე |
| 19 | 06/09/95 | ს | ეჩ | გერმანია | 1:4 | ქეცბაია |
| 20 | 11/10/95 | შ | ეჩ | ბულგარეთი | 2:1 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 21 | 15/11/95 | ს | ეჩ | მოლდოვა | 2:3 | დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 22 | 27/03/96 | ს | ამ | კვიპროსი | 2:0 | ქეცბაია, ჯამარაული |
| 23 | 24/04/96 | ს | ამ | რუმინეთი | 0:5 | |
| 24 | 08/05/96 | ს | ამ | საბერძნეთი | 1:2 | გოგრიჭიანი |
| 25 | 01/09/96 | ს | ამ | ნორვეგია | 0:1 | |
| 26 | 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 | |
| 27 | 09/11/96 | შ | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 28 | 05/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:4 | ა. იაშვილი, კიკნაძე |
| 29 | 08/12/96 | ს | ამ | ლიბანი | 2:3 | გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30 | 30/03/97 | შ | ამ | სომხეთი | 7:0 | შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 31 | 30/04/97 | ს | მჩ | ინგლისი | 0:2 | |
| 32 | 07/06/97 | შ | მჩ | მოლდოვა | 2:0 | შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 33 | 14/06/97 | ს | მჩ | პოლონეთი | 1:4 | შ. არველაძე |
| 34 | 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 | |
| 35 | 24/09/97 | ს | მჩ | მოლდოვა | 1:0 | ქეცბაია |
| 36 | 11/10/97 | შ | მჩ | პოლონეთი | 3:0 | ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 37 | 06/02/98 | ნ | სტ | ლატვია | 2:1 | ჯამარაული 2 |
| 38 | 08/02/98 | ნ | სტ | ალბანეთი | 3:0 | ქეცბაია, ყაველაშვილი, ა. იაშვილი |
| 39 | 10/02/98 | ს | სტ | მალტა | 3:1 | ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 40 | 02/05/98 | ს | ამ | ტუნისი | 1:1 | ქინქლაძე |
| 41 | 30/05/98 | შ | ამ | რუსეთი | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 42 | 12/08/98 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:1 | |
| 43 | 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 | |
| 44 | 05/09/98 | შ | ეჩ | ალბანეთი | 1:0 | ა. არველაძე |
| 45 | 10/10/98 | ს | ეჩ | ლატვია | 1:0 | |
| 46 | 14/10/98 | ს | ეჩ | საბერძნეთი | 0:3 | |
| 47 | 18/11/98 | შ | ამ | ესტონეთი | 3:1 | აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 48 | 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 | |
| 49 | 27/03/99 | შ | ეჩ | სლოვენია | 1:1 | ზ. ჯანაშია |
| 50 | 28/04/99 | შ | ეჩ | ნორვეგია | 1:4 | ზ. ჯანაშია |
| 51 | 30/05/99 | ს | ეჩ | ნორვეგია | 0:1 | |
| 52 | 05/06/99 | შ | ეჩ | საბერძნეთი | 1:2 | ქეცბაია |
| 53 | 04/09/99 | ს | ეჩ | სლოვენია | 1:2 | შ. არველაძე |
| 54 | 08/09/99 | შ | ეჩ | ლატვია | 2:2 | შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 55 | 09/10/99 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:2 | შ. არველაძე |
| 56 | 02/02/00 | ნ | სტ | სლოვაკეთი | 0:2 | ქეცბაია, ყაველაშვილი |
| 57 | 04/02/00 | ნ | სტ | რუმინეთი | 1:1 | ქეცბაია (პენალტებით 2:4) |
| 58 | 06/02/00 | ნ | სტ | სომხეთი | 2:1 | ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 59 | 28/03/00 | ს | ამ | ისრაელი | 1:1 | ქინქლაძე |
| 60 | 26/04/00 | ს | ამ | სომხეთი | 0:0 | |
| 61 | 04/06/00 | ს | ამ | აზერბაიჯანი | 0:0 | |
| 62 | 11/06/00 | ს | ამ | ესტონეთი | 0:1 | |
| 63 | 16/08/00 | ს | ამ | ირანი | 1:2 | ყაველაშვილი |
| 64 | 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 | ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე |
| 65 | 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 | |
| 66 | 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 | |
| 67 | 28/03/01 | შ | მჩ | რუმინეთი | 0:2 | |
| 68 | 24/04/01 | შ | ამ | ისრაელი | 3:2 | ქეცბაია 2, ა. არველაძე |
| 69 | 09/05/01 | შ | ამ | აზერბაიჯანი | 1:0 | იონანიძე |
| 70 | 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 | გახოკიძე |
| 71 | 06/06/01 | ს | მჩ | უნგრეთი | 1:4 | კობიაშვილი |
| 72 | 15/07/01 | ს | ამ | ლუქსემბურგი | 3:0 | დემეტრაძე 2, ალექსიძე |
| 73 | 01/09/01 | შ | მჩ | უნგრეთი | 3:1 | შ. არველაძე, ჯამარაული, ა. იაშვილი |
| 74 | 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 | ა. იაშვილი 2 |
| 75 | 06/10/01 | ს | მჩ | რუმინეთი | 1:1 | ა. იაშვილი |
| 76 | 27/03/02 | შ | ამ | ს. აფრიკა | 4:1 | დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე |
| 77 | 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 | ბურდული |
| 78 | 21/08/02 | ს | ამ | თურქეთი | 0:3 | |
| 79 | 08/09/02 | ს | ეჩ | შვეიცარია | 1:4 | შ. არველაძე |
| 80 | 12/02/03 | შ | ამ | მოლდოვა | 2:2 | ჩალაძე, აშვეთია |
| 81 | 29/03/03 | შ | ეჩ | ირლანდია | 1:2 | კობიაშვილი |
| 82 | 02/04/03 | შ | ეჩ | შვეიცარია | 0:0 | |
| 83 | 30/04/03 | შ | ეჩ | რუსეთი | 1:0 | ასათიანი |
| 84 | 11/06/03 | ს | ეჩ | ირლანდია | 0:2 | |
| 85 | 06/09/03 | შ | ეჩ | ალბანეთი | 3:0 | შ. არველაძე 2, აშვეთია |
| 86 | 10/09/03 | ს | ეჩ | ალბანეთი | 1:3 | შ. არველაძე |
| 87 | 11/10/03 | ს | ეჩ | რუსეთი | 1:3 | ა. იაშვილი |
| 88 | 18/02/04 | ნ | სტ | რუმინეთი | 0:3 | |
| 89 | 19/02/04 | ნ | სტ | კვიპროსი | 1:3 | გაბიდაური |
| 90 | 20/02/04 | ნ | სტ | სომხეთი | 0:2 | |
| 91 | 27/05/04 | შ | ამ | ისრაელი | 0:1 | |
| 92 | 18/08/04 | ს | ამ | მოლდოვა | 0:1 | |
| 93 | 04/09/04 | ს | მჩ | თურქეთი | 1:1 | ასათიანი |
| 94 | 08/09/04 | შ | მჩ | ალბანეთი | 2:0 | ა. იაშვილი, დემეტრაძე |

*შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი*

## მატჩები

| | |
|---|---|
| გიორგი ნემსაძე | 69 |
| გოჩა ჯამარაული | 61 |
| გიორგი ქინქლაძე | 53 |
| შოთა არველაძე | 50 |
| თემურ ქეცბაია | 50 |
| ლევან კობიაშვილი | 48 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 45 |
| კახა კალაძე | 39 |
| არჩილ არველაძე | 32 |
| გიორგი დემეტრაძე | 32 |
| ლევან ცქიტიშვილი | 31 |
| მურთაზ შელია | 28 |
| დავით გვარამაძე | 28 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 27 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 26 |
| გიორგი ჩიხრაძე | 24 |
| კახა ცხადაძე | 23 |
| გელა შეყილაძე | 22 |
| ლევან სილაგაძე | 21 |
| ალექსანდრე იაშვილი | 21 |
| გივი დიდავა | 21 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 20 |
| რევაზ ქემოკლიძე | 20 |
| ირაკლი ზოიძე | 19 |
| რატი ალექსიძე | 19 |
| დიმიტრი კუდინოვი | 18 |
| აკაკი დევაძე | 17 |
| გიორგი გახოკიძე | 15 |

## გოლები

| | |
|---|---|
| შოთა არველაძე | 19 |
| თემურ ქეცბაია | 16 |
| ალექსანდრე იაშვილი | 8 |
| გიორგი ქინქლაძე | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | 8 |
| გოჩა ჯამარაული | 6 |
| არჩილ არველაძე | 6 |
| გიორგი დემეტრაძე | 5 |
| მიხეილ აშვეთია | 4 |
| ზაზა ჯანაშია | 4 |
| ლევან კობიაშვილი | 3 |
| დავით ჯანაშია | 3 |

| სახელი გვარი | ა | თარიღი | კლუბი | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|
| ვალერი აბრამიძე | მ | 17/01/80 | ხიმკი (რუსეთი) | 6 | – |
| რატი ალექსიძე | თ | 08/09/78 | როსტოვი (რუსეთი) | 19 | 2 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | მ | 20/08/82 | დინამო (უკრაინა) | 7 | – |
| არჩილ არველაძე | თ | 22/02/73 | უგუნდო | 32 | 6 |
| რევაზ არველაძე | ნ | 15/09/69 | თამაში მიატოვა | 11 | 1 |
| შოთა არველაძე | თ | 22/02/73 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 50 | 19 |
| მალხაზ არზიანი | მ | 15/08/64 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| მალხაზ ასათიანი | ნ | 04/08/81 | ლოკომოტივი (რუსეთი) | 9 | 2 |
| დავით ასლანაძე | მკ | 16/11/76 | სიონი | 1 | – |
| თორნიკე აფციაური | ნ | 28/11/79 | თბილისი | 2 | – |
| შალვა აფხაზავა | თ | 04/08/80 | არსენალი (უკრაინა) | 1 | – |
| მიხეილ აშვეთია | თ | 10/11/77 | ლოკომოტივი (რუსეთი) | 14 | 4 |
| ლადო ახალაია | თ | 26/06/82 | დინამო | 1 | – |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19/10/70 | თამაში მიატოვა | 2 | – |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07/08/73 | დილა | 3 | – |
| ბესიკ ბერაძე | მ | 20/02/68 | თამაში მიატოვა | 8 | – |
| მელორ ბიგვავა | თ | 17/01/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ვლადიმერ ბურდული | ნ | 26/02/80 | დინამო | 11 | 1 |
| გიორგი გაბიდაური | ნ | 06/12/79 | ანართოსისი (კვიპროსი) | 3 | 1 |
| იური გაბისკირია | ნ | 01/09/68 | ბორჯომი | 1 | – |
| გიორგი გახოკიძე | ნ | 09/11/77 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 15 | 2 |
| ირაკლი გემეზაშვილი | მ | 06/07/77 | უგუნდო | 1 | – |
| დავით გვარამაძე | მკ | 08/11/75 | ლოკომოტივი | 28 | – |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31/10/68 | თამაში მიატოვა | 27 | 1 |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ნ | 26/02/76 | ლოკომოტივი | 4 | – |
| გოჩა გოგრიჭიანი | თ | 12/08/64 | ჟემჩუჟინა (სოჭი, რუსეთი) | 8 | 2 |
| იოსებ გრიშიკაშვილი | მკ | 21/12/72 | ბათუმი | 10 | – |
| გია გურული | თ | 20/05/64 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ვალტერ გუჩუა | მ | 06/07/75 | კოლხეთი | 5 | – |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07/07/71 | ჩიხურა | 1 | – |
| გიორგი დავითნიძე | მ | 18/07/78 | ამერი | 1 | – |
| გიორგი დარასელია | ნ | 17/09/68 | ცაფრირიმი (ჰოლონი, ისრაელი) | 8 | 1 |
| ვიტალი დარასელია | თ | 27/09/78 | ალანია (რუსეთი) | 8 | – |
| აკაკი დევაძე | მკ | 28/11/71 | თბილისი | 17 | – |
| გიორგი დემეტრაძე | თ | 26/09/76 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 32 | 5 |
| გივი დიდავა | მ | 26/03/76 | ქოჯაელისფორი (თურქეთი) | 21 | – |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13/03/76 | არისი (საბერძნეთი) | 1 | – |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21/03/69 | დინამო | 19 | – |
| ვაჟა თარხნიშვილი | მ | 26/08/71 | შერიფი (მოლდოვა) | 2 | – |
| სევასტი თოდუა | მ | 13/05/76 | ტორპედო | 6 | – |
| ალექსანდრე იაშვილი | თ | 23/10/77 | ფრაიბურგი (გერმანია) | 21 | 8 |
| სანდრო იაშვილი | თ | 03/01/85 | თბილისი | 3 | – |
| გელა ინალიშვილი | ნ | 03/10/66 | თამაში მიატოვა | 10 | – |
| ზურაბ იონანიძე | თ | 02/12/71 | ტავრია (უკრაინა) | 3 | 1 |
| თემურ კაბისაშვილი | მ | 13/09/67 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | თ | 02/11/78 | ამერი | 1 | – |
| კახა კალაძე | მ | 22/02/78 | მილანი (იტალია) | 39 | – |
| ილია კანდელაკი | მ | 16/12/81 | დინამო | 1 | – |
| ჯაბა კანკავა | ნ | 18/03/86 | დინამო | 1 | – |
| მერაბ კაციტაძე | მ | 25/02/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| კახა კაჭარავა | თ | 19/09/66 | თამაში მიატოვა | 2 | 1 |
| გივი კვარაცხელია | მ | 11/05/79 | თბილისი | 5 | – |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03/06/70 | ორდაბასი (ყაზახეთი) | 1 | – |
| დავით კვირკველია | ნ | 27/06/80 | დინამო | 10 | – |
| გიორგი კიკნაძე | ნ | 26/04/76 | უგუნდო | 10 | 1 |
| გიორგი კილასონია | ნ | 09/09/68 | სიონი | 3 | – |
| ლევან კობიაშვილი | მ | 10/07/77 | შალკე (გერმანია) | 48 | 3 |
| ლევან კორგალიძე | ნ | 21/02/80 | სკონტო (ლატვია) | 3 | – |
| დიმიტრი კუდინოვი | მ | 08/02/63 | თამაში მიატოვა | 18 | 1 |
| ნუგზარ ლობჟანიძე | მ | 07/09/71 | თამაში მიატოვა | 13 | – |
| გიორგი ლომაია | მკ | 08/08/79 | ხიმკი (რუსეთი) | 14 | – |
| ზურაბ მამალაძე | მკ | 10/02/82 | დინამო | 2 | – |
| ლევან მაღრაძე | ნ | 05/12/77 | აელ (კვიპროსი) | 1 | – |
| მამუკა მაჭავარიანი | მ | 27/11/70 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| მიხეილ მახვილაძე | მ | 22/07/78 | ლოკომოტივი | 1 | – |
| ლევან მელქაძე | თ | 12/12/79 | დინამო | 4 | – |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ნ | 30/01/80 | სკონტო (ლატვია) | 12 | 1 |
| გიორგი მეგრელაძე | თ | 21/07/78 | ტორპედო | 1 | – |
| ლევან მიქაძე | მ | 13/09/73 | უგუნდო | 1 | – |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02/01/77 | უგუნდო | 1 | – |
| კახა მჟავანაძე | მ | 02/10/78 | ანჟი (რუსეთი) | 4 | – |
| ამირან მუჯირი | ნ | 20/02/74 | ცსკა (სოფია, ბულგარეთი) | 1 | – |
| დავით მუჯირი | ნ | 02/01/78 | შტურმი (ავსტრია) | 4 | – |
| გიორგი ნემსაძე | ნ | 10/05/72 | დინამო | 69 | – |
| გიორგი ნიკურაძე | მკ | 01/10/79 | კოოტეეპეე (ფინეთი) | 1 | – |
| ლაშა ნოზაძე | ნ | 18/03/80 | ვიტ ჯორჯია | 1 | – |
| როინ ონიანი | მ | 14/06/75 | ლოკომოტივი | 1 | – |
| გიორგი რევაზიშვილი | ნ | 31/03/77 | ტორპედო | 1 | – |
| ზაზა რევიშვილი | მ | 23/09/68 | თამაში მიატოვა | 11 | – |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ნ | 06/08/74 | ვენტსპილსი (ლატვია) | 20 | – |
| ლაშა სალუქვაძე | მ | 21/12/81 | დინამო | 1 | – |
| არჩილ სახვაძე | მ | 10/03/78 | უგუნდო | 1 | – |
| ედიკ საჯაია | მ | 16/02/81 | არსენალი (ტულა, რუსეთი) | 9 | – |
| ვასილ სეფაშვილი | თ | 17/02/69 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| კახა სიდამონიძე | მ | 17/04/71 | ზესტაფონი | 5 | – |
| ლევან სილაგაძე | მ | 04/08/76 | დინამო | 21 | – |
| დავით სირაძე | ნ | 20/10/81 | ტრირი (გერმანია) | 2 | – |
| თენგიზ სიჭინავა | ნ | 15/05/72 | ლოკომოტივი | 10 | – |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 26/04/71 | თამაში მიატოვა | 11 | – |
| თემურ ტუღუში | თ | 24/02/72 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| გოჩა ტყებუჩავა | მ | 24/11/63 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გია ფირცხალავა | მ | 03/01/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| ზურაბ ფოფხაძე | მ | 02/06/72 | უგუნდო | 4 | – |
| მიხეილ ფოცხვერია | თ | 12/08/75 | თამაში მიატოვა | 4 | – |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 13/03/79 | თბილისი | 20 | – |
| თემურ ქეცბაია | ნ | 18/03/68 | ანორთოსისი (კვიპროსი) | 50 | 16 |
| გიორგი ქინქლაძე | ნ | 06/07/76 | უგუნდო | 53 | 8 |
| გიორგი ღუდუშაური | ნ | 18/02/73 | უგუნდო | 8 | – |
| მიხეილ ყაველაშვილი | თ | 22/07/71 | ალანია (რუსეთი) | 45 | 8 |
| დავით ყიზილაშვილი | თ | 12/12/70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 12/08/78 | სკონტო (ლატვია) | 2 | – |
| გიორგი შაშიაშვილი | მ | 01/09/79 | დინამო | 10 | – |
| მურთაზ შელია | მ | 25/03/69 | თამაში მიატოვა | 28 | – |
| გელა შეყილაძე | მ | 14/09/70 | თამაში მიატოვა | 22 | – |
| დავით ჩალაძე | თ | 22/01/76 | ანართოსისი (კვიპროსი) | 4 | 1 |
| გოჩა ჩიქოვანი | მ | 12/10/62 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| გიორგი ჩიხრაძე | მ | 01/10/67 | თამაში მიატოვა | 24 | – |
| გია ჩხაიძე | მ | 23/02/70 | ჩიხურა | 3 | – |
| კახა ჩხეტიანი | ნ | 24/02/78 | ტავრია (უკრაინა) | 1 | – |
| დავით ცომაია | ნ | 04/09/67 | თამაში მიატოვა | 3 | – |
| ლევან ცქიტიშვილი | მ | 10/10/76 | ფრაიბურგი (გერმანია) | 31 | 1 |
| კახა ცხადაძე | მ | 07/09/68 | ანჟი (რუსეთი) | 23 | 1 |
| მერაბ ძოწაშვილი | თ | 04/11/80 | კოლხეთი | 2 | – |
| მამუკა წერეთელი | მ | 17/01/79 | უგუნდო | 12 | – |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04/10/77 | უგუნდო | 3 | – |
| გრიგოლ ჭანტურია | მკ | 25/09/73 | ტავრია (უკრაინა) | 2 | – |
| სოსო ჭედია | ნ | 09/10/65 | თამაში მიატოვა | 1 | – |
| დავით ჭიჭველიშვილი | ნ | 23/01/75 | დინამო | 3 | – |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04/04/72 | ამერი | 1 | – |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მ | 06/10/81 | რეინჯერსი (შოტლანდია) | 26 | – |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მ | 26/06/81 | დინამო (რუსეთი) | 9 | – |
| დავით ხმელიძე | მკ | 28/04/79 | ლუკოილი (რუსეთი) | 1 | – |
| შალვა ხუჯაძე | მ | 05/10/75 | ბათუმი | 2 | – |
| ლაშა ჯაკობია | თ | 20/08/80 | მეტალისტი (უკრაინა) | 2 | – |
| გოჩა ჯამარაული | ნ | 23/07/71 | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 61 | 6 |
| დავით ჯანაშია | თ | 07/08/72 | ზესტაფონი | 10 | 3 |
| ზაზა ჯანაშია | თ | 10/02/76 | ბალტიკა (რუსეთი) | 9 | 4 |
| დავით ჯანელიძე | მკ | 09/02/73 | თამაში მიატოვა | 2 | – |
| ზვიად ჯელაძე | მ | 16/12/73 | უგუნდო | 3 | – |
| მამუკა ჯიქია | ნ | 11/12/75 | ვისლა (პლოცკი, პოლონეთი) | 2 | – |
| გია ჯიშკარიანი | ნ | 30/11/67 | თამაში მიატოვა | 8 | 1 |
| მიხეილ ჯიშკარიანი | თ | 01/11/69 | თამაში მიატოვა | 2 | – |

სულ: 132 მოთამაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაჭარი და ფიოლერი



ანტონიო კასანომ ჩხუბისა და აყალ-მაყალის მერე რუდი ფიოლერთან მობოდიშა



**„რომასთვის“** იტალიის ჩემპიონატი იმით დაიწყო, რომ გუნდმა „ფიორენტინას“ 1:0 მოუგო, მაგრამ იმ შეხვედრაში თავდამსხმელი, ანტონიო კასანო გააძევეს მოედნიდან. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ კასანომ გუნდის ახალ მწვრთნელთან, რუდი ფიოლერთან ისაუბრა თავისი საქციელის შესახებ.

კასანოს გაძევების მიზეზი კი ფლორენციელი მცველის, ჯორჯო კიელინის წინააღმდეგ უხეშობა გახლდათ — შეჯახების შემდეგ მეტოქეს სახეზე ტორიც დააფარა. და, როგორც ამბობენ, მატჩის შემდეგ თავდამსხმელმა და ფიოლერმა 20 წუთი ილაპარაკეს. ამბობენ იმასაც, რომ „რომას“ ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი კასანოს ამ დაულევინებელმა ქცევამ გააცოფა, თუმცა მას მერე, რაც ფეხბურთელს დანაშაული უღიარებია და ბოდიშიც მოუხდია, მისი დასჯა გადაიფიქრეს.

„ზუსტად ვიცი, რომ კასანომ და მწვრთნელმა ილაპარაკეს, მაგრამ რა უთხრეს ერთმანეთს ჩემთვის უცნობია — განაცხადა „რომას“ მეკარე ივან პელიცოლიმ — კასანო აშკარად შეცდა, მაგრამ თამაშის მეორე დღეს გაცილებით დამშვიდებული ჩანდა, ვიდრე იმ საღამოს“.

**ბაბუნა ძედია**


გუსტავო ნერი ბრაზილიაში სამკურნალოდ გაუშვეს

# წასული არ გვეგონო, დაბრუნდით

**ბრემენის** „ვერდერის“ ბრაზილიელმა მცველმა გუსტავო ნერიმ შაბათს, ბუნდესლიგის ტურის მატჩი გამოტოვა. „ვერდერმა“ მიონხენგლადბახში წააგო, ბრაზილიელის არყოფნის მიზეზი კი მარცხენა ხელზე ძვლის გატეხვა გახლდათ. ამ ტრავმის გამო ბრემენელებმა ფეხბურთელს შინ, ბრაზილიაში გადაფრენის და იქაურ ექიმთან მკურნალობის ნება დართეს.

„ჩვენ გადავწყვიტეთ მისი სურვილისთვის წინააღმდეგობა არ გაგვეწია და ნება დაგვერთო ოპერაცია მშობლიურ გარემოში გაიკეთოს — დაწერა „ვერდერის“ ოფიციალურ საინტერნეტო საიტში კლუბის სპორტულმა დირექტორმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა კლაუს ალოფსმა — დარწმუნებული ვართ, რომ ბრაზილიაში მკურნალობა მას გუნდში შეძლებისდაგვარად მალე დაბრუნების საშუალებას მისცემს“.

„სან პაულუს“ ყოფილი სტოპერი ოპერაციამდე კიდევ ერთ შემოწმებას გაივლის, ხოლო რამდენ ხანს მოუწევს ბუნდესლიგის გაცდენა, ცნობილი არ არის.

„ვერდერის“ მწვრთნელი, თომას შააფი: „სპეციალისტი ცხადია, რისი ძალაც შესწევს ყველაფერს იზამს, გუსტავოს კი მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვება — როგორც კი ექიმი საქმეს მორჩება, უნდა დარუნდეს“.

**ბაბუნა ძედია**

# მადლობა ბიჭებს!

## მხოლოდ გოლით, ისევ გოლით...


ლუკა ტონის გოლები სწყურია

**ლუკა ტონი** მოწადინებულია „სკუადრა აძურასა“ და „პალერმოს“ მაისურებით მრავალი გოლი გაიტანოს.

„ახლა, როდესაც ეროვნული გუნდის მაისურა მოვირგე, მინდა აღარასოდეს გავიხადო, ხოლო ამისათვის გოლები უნდა გავიტანო, მარჩელო ლიპის მხოლოდ ასე განუმტკიცდება ჩემი ნიჭისა და უნარის რწმენა“ — განაცხადა ტონიმ.

პალერმოელ თავდამსხმელს მართლაც ფანტასტიკურად აეწყო ახალდაწყებულ სეზონში ყველაფერი: ჯერ იყო და ნორვეგიასთან სანაკრებო შეხვედრაში გაიტანა გოლი, ხოლო შემდეგ, სერია A-ს პირველ შეხვედრაში მიაღწია მიზანს.

„დიახ, როგორც სანაკრებო, ასევე საკლუბო დონეზე გავიტანე გოლები და შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მომენტია. ამისთვის თანაგუნდელებს უნდა მოვახსენო მადლობა, ისინი რომ არ დამხმარებოდნენ, მე გოლებს ვერ გავიტანდი“ — დასძინა ფორვარდმა, რომელმაც „პალერმოსა“ და „სიენას“ შეხვედრაში დაამახსოვრა გულშემატკივრებს თავი. აღსანიშნავია, რომ ეს გამარჯვება „პალერმოსთვის“ ბოლო 30 წელიწადში პირველი იყო, რომელიც გუნდმა სერია A-ში მოიპოვა.

ტონი: „სიენასთან“ გამარჯვება მნიშვნელოვანია, მაგრამ ამაზე გაჩერება არ შეიძლება. ახლა, მეორე ტურში, „სან სიროზე“ „ინტერთან“ გველის ძალიან რთული მატჩი. შესაძლოა „ინტერს“ დაცვაში თამაში ჯერ მთლად ბოლომდე არ დაულაგებია, მაგრამ დიდი ძალითა და ცოდნით რომ შემოგვიტევს, ამთავითვე ცნობილია. ვნახოთ, რის დაპირისპირებას შევძლებთ“.

ერთსაც შეგახსენებთ, „პალერმომდე“ ტონი „ბრეშაში“ გამოდიოდა.

**ბაბუნა ძედია**



# ტევესი პაპარაცს ემტერება

**არგენტინული** „ბოკა ხუნიორსის“ ვარსკვლავი კარლოს ტევესი სკანდალში გაეხვა — მავანი კარლოს გონსალესი, ჟურნალ „პაპარაცის“ ფოტორეპორტიორი უხეშად მოპყრობისთვის უჩივის. საქმე ისაა, რომ არგენტინული აპერტურას მორიგ ტურში იქაურ „ხიმნასიასთან“ 2:1 მოგების შემდეგ ტევესი თავის საგოლე ფიესტას (გამარჯვების ბურთი სწორედ მან შეაგდო) ბუენოს აირესის ერთ-ერთ ღამის კლუბში საცოლესთან და მეგობრებთან ერთად აღნიშნავდა, სადაც ხსენებულმა ფოტომონადირემ ბედნიერი ფეხბურთელის ფირზე აღბეჭდვა გადაწყვიტა. გონსალესის მტკიცებით, დიდი შარიანობა კარლიტოს გულისსწორ, ცნობილ არგენტინელ მოდელ ნატალი ფასის ჩასურათების შემდეგ დაიწყო. „ტევესმა მომთხოვა, რომ ნატალისთვის სურათი არ გადამეღო. მერე მეგობრებთან ერთად მომვარდა, შეურაცხყოფა მომაყენა, ფოტოაპარატი წამართვა და მანქანით თან წაიღო“ — განუცხადა „პაპარაცის“ თანამშრომელმა თანამემამულე „სპორტსიას“ ჟურნალისტებს.

თავად მობურთალს დაზარალებულის ღაღადი სიცილად არ ჰყოფნის. „ის კაცი არც მიცემია და არც ფოტოაპარატი დამიმტვრევია, როგორც თვითონ აცხადებს. უწესოდ თავად იქცეოდა — რამდენჯერმე ვთხოვე, იქაურობას გასცლოდა, ის კი ნატალის ახლომახლო ხეტიალს განაგრძობდა. ფოტოაპარატიდან მხოლოდ ჩიპი ამოვიღე, სხვა არაფერი“ — ამბობს ბოკას ახალგაზრდა მეგოლე. ბუენოსაირესელ სამართალდამცავების თქმით, გონსალესის აპარატი მართლაც წესრიგშია, კარლოს ტევესი კი სკანდალის აგორებას თავის პოპულარობას აბრალებს: „უნდათ, ჩემთან დაკავშირებით სახელი გაითქვან. ასეთი რამ ბევრ ცნობილ ფეხბურთელს მოსვლია და გამონაკლისს ალბათ, არც მე წარმოვადგენ“.

**ლადო ხომერიძე**

# სევილიის ნაცვლად საპატიმროში

**„ნასიონალ მადეირას“** უეფას თასზე, „სევილიასთან“ სტუმრად ჭიდაობის რიხი, ალბათ, ცოტა დააკლდებოდა — პორტუგალიური კლუბის დირექტორმა, რუი სარდინიამ განაცხადა, რომ „ნასიონალის“ სამი სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელი ადგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა.

საუბარია არგენტინელ მცველ ფერნანდო ორასიო ავალოსზე, ბრაზილიელ ნახევარმცველ ფაბიო სანტუშ ბარბოსაზე და მის თანამემამულე ჟოესლი ფერეირა ბარბოსაზე, რომლებსაც, არც მეტი, არც ნაკლები პოლიციელთათვის გაუბედიათ რაღაც. ეს ინციდენტი მადეირას ბარში მომხდარა, იმ დღეს, როდესაც ფუნშალელებს „ბეირა მარისთვის“ 2:1 მოუგიათ პორტუგალიის ჩემპიონატში.

**ბაბუნა ძედია**

# უგოლო ბოლო



REUTERS

სტუმართა მეგოლე კევინ ფილიპსი გატანას ბევრს ეცადა, მაგრამ...

## ინგლისი

### პრემიერლიგა. V ტური

**ჩარლტონი 0:0 საუთჰემპტონი**

**ჩარლტონი:** კაილი, იანგი, პერი, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, მერფი, იუელი, კიშიშევი (ბ. ჰიუზი 58), რომედალი (ელ კარკური 75), ლისბი, ჯეფერსი (ჯ. იოჰანსონი 67)
**მწვრთნელი:** ალან კერბიშლი
**საუთჰემპტონი:** ნიემი, კენტონი (ნილსონი 73), ლუნდეკვამი, იაკობსონი, ლე სო, ფ. ფერნანდესი (კრუჩი 84), პრატონი, დელაპი. ა. სვენსონი, ბიტი, ფილიპსი
**მწვრთნელი:** სტივ უიგლი
**გაფრთხილება:** პრატონი
**მსაჯი:** ბერი
**24 263 მაყურებელი**

**ტურის** ბოლო მატჩში „ჩარლტონმა" და „საუთჰემპტონმა" უგოლო და უღიმღამო ფეხბურთით თითო ქულა გაიყვეს. ეს ფრე ორივე გუნდისთვის ამ სეზონში პირველი გამოდგა.

მასპინძელთაგან დანიელი ლეგიონერი დენის რომედალი გამოირჩეოდა, რომელიც მარცხენა ფლანგზე აქტიურობდა, მაგრამ მისი პასები საჯარიმოში იკარგებოდა.

„ჩარლტონის" მეკარე დინ კაილიმ რორი დელაპის და კლაუს ლუნდეკვამის თავით დარტყმულები მოიგერია, სტუმართა ანტი ნიემიმ კი ფრენსის ჯეფერს არ გაატანინა. რეალური მომენტი ჰქონდა კევინ ფილიპსსაც, მაგრამ კარის ხაზთან ბურთს ფეხი ვერ მიჰკრა, ტაიმის მიწურულს ჯეფერსმა გაისროლა ოციოდ მეტრიდან, მაგრამ კვლავ კაილიმ იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ მოედნის შუაგულში ჭიდაობა იყო და მეკარეებმაც მოიწყინეს. „საუთჰემპტონმა" მატჩის მიწურულს სცადა სისწრაფით დაეჯაბნა მასპინძელი, თუმც ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 5 | 0 | 0 | 19:5 | 15 |
| ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| ბოლტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| მიდლსბრო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:9 | 10 |
| ევერტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 10 |
| ტოტენჰემი | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 9 |
| ასტონ ვილა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| პორტსმუთი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ჩარლტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| მანჩესტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ნიუკასლი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:9 | 5 |
| სიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:5 | 4 |
| ბირმინგემი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| საუთჰემპტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| ფულემი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ნორვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:9 | 3 |
| ვესტ ბრომვიჩი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| ბლექბერნი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:11 | 2 |
| კრისტალ პალასი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. IV ტური

**ერფურტი 0:0 მიუნხენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 10 |
| დუისბურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ალემანია | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 8 |
| კოტბუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| აუე | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| კიოლნი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| აინტრახტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ერფურტი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:1 | 6 |
| ბურგჰაუზენი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| მიუნხენი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| უნტერჰახინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ზაარბრიუკენი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ტრირი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| ალენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| ობერჰაუზენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| ესენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| კარლსრუე | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XX ტური

**ბრანი 1:2 სტაბეკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 20 | 11 | 6 | 3 | 43:25 | 39 |
| ტრომსიო | 20 | 11 | 3 | 6 | 33:24 | 36 |
| ვოლერენგა | 20 | 9 | 7 | 4 | 27:18 | 34 |
| ლინი | 20 | 8 | 7 | 5 | 24:19 | 31 |
| ჰამ კამი | 20 | 8 | 6 | 6 | 28:28 | 30 |
| ბრანი | 20 | 9 | 2 | 9 | 34:33 | 29 |
| ლილესტრიომი | 20 | 7 | 7 | 6 | 37:28 | 28 |
| ოდ გრენლანდი | 20 | 7 | 7 | 6 | 34:31 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 20 | 7 | 3 | 10 | 25:33 | 24 |
| ვიკინგი | 20 | 4 | 10 | 6 | 21:27 | 22 |
| სტაბეკი | 20 | 6 | 4 | 10 | 20:30 | 22 |
| მოლდე | 20 | 4 | 9 | 7 | 24:29 | 21 |
| ფრედრიკსტადი | 20 | 6 | 3 | 11 | 32:44 | 21 |
| სოგნდალი | 20 | 3 | 6 | 11 | 31:44 | 15 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. V ტური

**ზლინი 1:0 ლიბერეცი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 5 | 4 | 1 | 0 | 14:5 | 13 |
| ბრნო | 5 | 4 | 0 | 1 | 5:4 | 12 |
| ტეპლიცე | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| სიგმა | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ბანიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ზლინი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 |
| სლავია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| სინოტი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 |
| ლიბერეცი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:2 | 6 |
| იაბლონეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| მლადა ბოლესლავი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| პრჟიბრამი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ოპავა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| დრნოვიცე | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | 3 |
| ბლშანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. VII ტური

**მონპელიე 0:2 ამიენი**

0:1 მარსოლინო (23), 0:2 ბარონი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრესტი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:10 | 15 |
| სედანი | 7 | 5 | 0 | 2 | 10:7 | 15 |
| დიჟონი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 13 |
| ამიენი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 12 |
| გენიონი | 7 | 3 | 3 | 1 | 7:4 | 12 |
| გრენობლი | 7 | 3 | 3 | 1 | 12:12 | 12 |
| ნანსი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| რეიმსი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:10 | 11 |
| ლე ავრი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:6 | 10 |
| ლორიანი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | 10 |
| კლერმონი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:7 | 9 |
| ლე მანი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:5 | 9 |
| ანჟე | 7 | 2 | 3 | 2 | 7:7 | 9 |
| ლავალი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:9 | 9 |
| შატორუ | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 |
| მონპელიე | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | 7 |
| ნიორი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:10 | 6 |
| ტრუა | 7 | 1 | 2 | 4 | 10:13 | 5 |
| გენგამი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | 5 |
| კრეტეი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:10 | 4 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XXIII ტური

**ტურკუ 0:0 ჰაკა**
**ალიანსი 3:2 ტპ-47**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 23 | 16 | 5 | 2 | 47:14 | 53 |
| ტამპერე | 21 | 12 | 4 | 5 | 35:18 | 40 |
| ალიანსი | 22 | 11 | 5 | 6 | 28:25 | 38 |
| ინტერი | 23 | 11 | 4 | 8 | 39:33 | 37 |
| ტურკუ | 23 | 11 | 4 | 8 | 31:27 | 37 |
| მიუპა | 23 | 9 | 8 | 6 | 28:23 | 35 |
| ლაჰტი | 22 | 8 | 9 | 5 | 30:26 | 33 |
| ჰიკ | 22 | 7 | 10 | 5 | 32:25 | 31 |
| კტპ | 23 | 8 | 7 | 8 | 28:25 | 31 |
| ტპ 47 | 24 | 8 | 4 | 12 | 34:39 | 28 |
| როვანიემი | 24 | 7 | 4 | 13 | 26:41 | 25 |
| იარო | 23 | 6 | 3 | 14 | 24:41 | 21 |
| ჯაზი | 23 | 4 | 5 | 14 | 26:49 | 17 |
| ჰამენლინა | 22 | 2 | 6 | 14 | 25:47 | 12 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XIX ტური

**კალმარი 1:1 იორგრიტე**
**ჰელსინგბორგი 2:0 ტრელებორგი**
**გიოტებორგი 1:0 აიკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 19 | 11 | 4 | 4 | 24:12 | 37 |
| მალმიო | 18 | 10 | 6 | 2 | 31:12 | 36 |
| ჰალმსტადი | 18 | 10 | 5 | 3 | 37:20 | 35 |
| კალმარი | 19 | 7 | 9 | 3 | 21:15 | 30 |
| ჰამარბი | 19 | 8 | 5 | 6 | 22:19 | 29 |
| იურგორდენი | 19 | 7 | 7 | 5 | 26:24 | 28 |
| ჰელსინგბორგი | 19 | 6 | 7 | 6 | 36:24 | 25 |
| სუნდსვალი | 19 | 6 | 7 | 6 | 20:21 | 25 |
| ელფსბორგი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:25 | 24 |
| აიკ | 19 | 4 | 6 | 9 | 15:25 | 18 |
| იორებრო | 19 | 4 | 6 | 9 | 20:36 | 18 |
| ლანდსკრონა | 19 | 3 | 8 | 8 | 18:27 | 17 |
| იორგრიტე | 19 | 3 | 8 | 8 | 16:26 | 17 |
| ტრელებორგი | 19 | 2 | 6 | 11 | 14:32 | 12 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. II ტური

**რიუ ავე 3:3 ბელენენსეში**

1:0 საულუ (7), 2:0 ჟოზე გომეში (30), 3:0 ნასიმენტუ (54), 3:1 ბრასილია (64), 3:2 ჟოზე პედრუ (81), 3:3 ბრასილია (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეტუბალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ბენფიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ბოავიშტა | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ბელენენსეში | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| გიმარაეში | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 5014 | ლევერკუზენი-რეალი | 3,6 | 2,05 | 2,6 | 1,3 | 1,5 | 1,14 |
| 5015 | ლივერპული-მონაკო | 2,25 | 2,05 | 4,8 | 1,07 | 1,53 | 1,43 |
| 5016 | ლიონი-მანჩესტერი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 2,3 | 1,65 |
| 5410 | აიაქსი-იუვენტუსი | 1,9 | 1,9 |
| 5411 | რომა-დინამო | 1,35 | 3,2 |
| 5412 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 1,6 | 2,4 |
| 5413 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,3 | 3,4 |
| 5414 | ლევერკუზენი-რეალი | 2,0 | 1,8 |
| 5415 | ლივერპული-მონაკო | 1,7 | 2,2 |
| 5416 | ლიონი-მანჩესტერი | 1,9 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5110 | აიაქსი-იუვენტუსი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5111 | რომა-დინამო | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5112 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5113 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5114 | ლევერკუზენი-რეალი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5115 | ლივერპული-მონაკო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5116 | ლიონი-მანჩესტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | აიაქსი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | რომა-დინამო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ლევერკუზენი-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ლივერპული-მონაკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ლიონი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | აიაქსი-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5311 | რომა-დინამო | 1,8 | 1,8 |
| 5312 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 1,7 | 1,9 |
| 5313 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,8 | 1,8 |
| 5314 | ლევერკუზენი-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ლივერპული-მონაკო | 1,7 | 1,9 |
| 5316 | ლიონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | მაკაბი(თ.ა)-ბაიერნი | 1,8 | 1,8 |
| 5210 | აიაქსი-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5211 | რომა-დინამო | 1,85 | 1,75 |
| 5212 | ფენერბაჰჩე-სპარტა | 1,75 | 1,85 |
| 5213 | დეპორტივო-ოლიმპიაკოსი | 1,9 | 1,7 |
| 5214 | ლევერკუზენი-რეალი | 1,85 | 1,75 |
| 5215 | ლივერპული-მონაკო | 1,75 | 1,85 |
| 5216 | ლიონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |

### პირველი წრე

**მარინა შამაიკო** (რუსეთი) — მაკა ჩახნაშვილი (საქართველო) 7:6 (7:4), 4:6, 7:5; **ირინა კუზმინა** (ლატვია) — სვეტლანა მოსიაკოვა (რუსეთი) 6:1, 6:1; **იანა ლევჩენკო** (უკრაინა) — ოლგა ხრაპკოვა (რუსეთი) 6:2, 4:6, 6:4; **თათია მიქაძე** (საქართველო) — ალიონა ანტიპინა (8, უკრაინა) 6:4, 6:2; **მარია კონდრატიევა** (5, რუსეთი) — სოფო შაფათავა (საქართველო) 6:2, 6:3; **ია ჯიქია** (საქართველო) — ნატალია რახმანინა (რუსეთი) 6:3, 3:6, 6:4; **მატილდა იოჰანსონი** (საფრანგეთი) — ნანა ეროტაძე (საქართველო) 6:2, 6:4; **ელენა ვესნინა** (3, რუსეთი) — სოფო მელიქიშვილი (საქართველო) 6:1, 6:2; **კატარინა კაჩლიკოვა** (7, სლოვაკეთი) — ანე ლორენდონი (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **თინათინ ყავლაშვილი** (საქართველო) — დარია კუსტავა (ბელარუსი) 6:7 (4:7), 7:5, 7:6 (7:3)

## ქართუს თასი. თიხნარი. საპრიზო 25 000 $

# ქართუს ქართველობა აკლდება

შვიდი ქართველი ჩოგბურთელიდან „ქართუ ბანკის" მერვე ტურნირის მეორე წრეში მხოლოდ სამმა გაატანა. ტურნირის ბადეც ისეთია, ერთმანეთს ერთიც არ ხვდება, მეოთხედფინალში ერთი ქართული ადგილი მაინც რომ გაგვენაღდებინა. თუმც ვინ იცის, იქნებ ხვალინდელი გადმოსახედიდან ეს ვარიანტი ჯობდეს. პირველ წრეში ნაყოჩაღები გოგონების თამაშით თუ ვიმსჯელებთ, წინსვლა სამივეს ძალუძს.

ვიდრე სტუმარ-მასპინძელთა წყვილებზე ვიტყოდეთ, პირველი წრის ჩვენთვის საინტერესო მომენტებს გადმოგცემთ. გუშინდელი შეხვედრებიდან ყველაზე დრამატული მაკა ჩახნაშვილისა და რუსი მარინა შამაიკოს შეხლა იყო. „ბორჯომის თასის" ფინალისტისგან „ქართუზეც" კარგ შედეგს ველოდით და რუს მარინა შამაიკოსაც თამაშის დაწყებამდე საზარბაზნე ხორცისავით ვუყურებდით, მაგრამ შევცდით. ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან შესულმა ქერა რუსგოგომ ჩვენს ჯილას არაფერი დაუთმო და პირველი სეტი ტაიბრეიკით მოუგო.

მეორე სეტში არნახული გულშემატკივრობით შეგულიანებულმა მაკამ შეცდომებს უკლო და ეს შედეგზეც აისახა, თუმც გადამწყვეტი სეტი დიდ ბრძოლაში— 5:7 დათმო. მარცხის მიზეზების ჩაძიებას ახლა აღარ დავიწყებთ, მაგრამ ერთს კი ვიტყვით, ასეთი განერვიულებული ჩახნაშვილი აქამდე არ გვინახავს.

თითქმის უშანსოდ დამარცხდნენ სოფო მელიქიშვილი, სოფო შაფათავა და ნანა ეროტაძე. მეტოქეებიც აშკარად თავისზე უკეთესები ჰყავდათ. მელიქიშვილმა ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ ელენა ვესნინასთან დახარა ჩოგანი, შაფათავამ „ბორჯომის თასის" ამწევ კონდრატიევასთან, ხოლო ეროტაძემ რეიტინგსიაში 350 ადგილით წინ მდგომ ფრანგ მატილდა იოჰანსონთან.

არ გვინდა, გამარჯვებულებიდან საუკეთესო გამოვარჩიოთ. ია ჯიქიამ, თინათინ ყავლაშვილმა და თათია მიქაძემ ერთმანეთზე უკეთესად ითამაშეს და უკეთესი მომავლის იმედიც დაგვიტოვეს. ამ გოგონებმა საჩოგბურთო ნიჭსა და პერსპექტივასთან ერთად ქება შესაშური ბრძოლისუნარიანობითა და შეუპოვრობითაც დაიმსახურეს. თავად განსაჯეთ, ყავლაშვილმა ბელარუს დარია კუსტავასთან სამი საათი და ორმოცი წუთი იბრძოლა. პირველი სეტი 6:7 დათმო და მერე 7:5 და 7:6 მოიგო. ჯიქიამ მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო ლამის ცალ ფეხზე დამდგარმა გაამწარა ათლეტური აღნაგობის რუსგოგო რახმანინა. მიქაძემ კი განთესილი უკრაინელი ანტიპინა დატოვა მშრალზე.

მეორე წრის რვა მატჩი დღეს ჩათამაშდება და ღმერთმა ქნას, ჩვენმა სამეულმა მეოთხედფინალშიც უდანაკარგოდ გააღწიოს, თუმც ძლიერ მეტოქეებთან ერთად ამაში შეიძლება ხელი ტრავმებმაც შეუშალოთ. მხედველობაში ისევ ჯიქიას მუხლი გვაქვს. „ბორჯომის თასზე" დაჭიმული მყესი იამ რახმანინასთან კიდევ უფრო გაიმიზეზა და გუშინ გვითხრა, კორტზე კი გავალ, მაგრამ არ ვიცი, მუხლი თამაშის დამთავრებას თუ მაცლისო. არადა დღეს იგი „ბორჯომის თასის" ამწევ კონდრატიევას ეთამაშება. ყავლაშვილი ტურნირზე მეშვიდე ნომრად განთესილ სლოვაკს კატარინა კაჩალოვას შეხვდება, მიქაძე კი უკრაინელ იანა ლევჩენკოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანდელი ჩემპიონი
ელენა ვესნინა გამარჯვებით იწყებს

# პირველოსანთა კლუბში მატებაა

## მორესმოს სტაბილურად წაგება დაუფასდა



წლევანდელი ფლეშინგმედოუზობის უმთავრეს სარეიტინგო შედეგად ქალთა ამქარში ახალი პირველოსნის დაბადება იქცა. 25 წლის ამელი მორესმომ — ვისაც თუმცა არასოდეს უმარჯვია დიდი მუზარადის ტურნირებზე, მაგრამ ყოველთვის შესაშური სტაბილურობით გამოირჩეოდა — შარშანდელი ჩემპიონის ჟუსტინ ენენ-არდენის წაფორხილებით ისარგებლა და მეორე საფეხურიდან კენწეროსნულზე აღზევდა.

უკანასკნელ მომენტში მისთვის ჩოგნის შეშლა შეეძლო ქალთა ოდინდელ ყოჩყოფილ ლინდსი დევენპორტს, ოღონდ ამ უკანასკნელს საამისოდ პირველობის მოგება სჭირდებოდა. ეს კი მან — ვინძლო, ასე უცებ არც თქვენ დაგავიწყდებოდათ — ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ სვეტლანა კუზნეცოვასთან დამარცხების გამო ვერ მოახერხა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მორესმო გახდა მე-14 პირველოსანი ქალი 1975 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც რომ საჩოგნეთში ოფიციალური რეიტინგსიები შემოიღეს.

ქვემოთ თქვენ ოთხ სიას იხილავთ — აქედან სამი მიმდინარე რეიტინგსიებია, ერთი კი 1975-დან დღემდე ქალთა შორის ნაპირველოსნარ მეჩოგნეებს წარმოგიდგენთ. სია იმგვარად არის შედგენილი, რომ პირველოსანთა სახელგვარსა და „ეროვნულობის გრაფას" მათი რეიტინგსიის სათავეში აღზევების თარიღი და მათ მიერ იქ გატარებულ კვირათა რაოდენობა მოსდევს.

საკუთრივ რეიტინგსიების გაცნობა კი ადვილად შეგამჩნევინებთ, თუ ვინ გაირჯა ნიუ იორკში რიგიანად და ვინ — ვერა.

ქალთა შორის კვლავ აშკარა რუსთა წინსვლა — ერთადერთი ზეოცეულელი რუსგოგო, ვინაც უკან დაიხია, ადრეწრეებიდანვე ოტებული მარია შარაპოვა, უიმბლდონის წლევანდელი დედოფალია. კაცთაგან კი ყველაზე ზორბად ისკუპა ახმახმა შვედმა იოახიმ იოჰანსონმა, რომელმაც მეოთხედფინალიდან თვით შარშანდელი ჩემპიონი ენდი როდიკი აოტა.

და აღარაფერს ვამბობთ წლეულს უკვე მესამე სლემტიტულის მომგებ როჯერ ფედერერზე — თავის უშუალო მდევარ ენდიბოის ის უკვე გოლიათური სხვაობით უსწრებს.

**ლევან ძელაურაძე**

### პირველოსან ქალთა ჩამონათვალი

| | | |
|---|---|---|
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 13 სექტ. 2004 | 1 |
| ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 20 ოქტ. 2003 | 46 |
| კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 11 აგვ. 2003 | 12 |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 8 ივლ. 2002 | 57 |
| ვინუს უილიამსი (აშშ) | 25 თებ. 2002 | 11 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 15 ოქტ. 2001 | 17 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 12 ოქტ. 1998 | 37 |
| მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 31 მარ. 1997 | 209 |
| არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 6 თებ. 1995 | 12 |
| მონიკა სელეში (აშშ) | 11 მარ. 1991 | 178 |
| შტეფი გრაფი (გერმანია) | 17 აგვ. 1987 | 377 |
| ტრეისი ოსტინი (აშშ) | 7 აპრ. 1980 | 22 |
| მარტინა ნავრატილოვა (აშშ) | 10 ივლ. 1978 | 331 |
| ქრის ევერტი (აშშ) | 3 ნოე. 1975 | 262 |

### განთესვის რეიტინგსიები

**ვაჟები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6760 |
| 2 | (2) | ენდი როდიკი (აშშ) | 3770 |
| 3 | (5) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 3055 |
| 4 | (6) | ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2825 |
| 5 | (3) | გილერმო კორია (არგენტინა) | 2820 |
| 6 | (4) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 2670 |
| 7 | (7) | ანდრე აგასი (აშშ) | 2140 |
| 8 | (10) | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 1985 |
| 9 | (11) | ნიკოლას მასუ (ჩილე) | 1760 |
| 10 | (13) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 1685 |
| 11 | (8) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1615 |
| 12 | (12) | რაინერ შუტლერი (გერმანია) | 1595 |
| 13 | (14) | მარატ საფინი (რუსეთი) | 1590 |
| 14 | (9) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1575 |
| 15 | (18) | ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 1460 |
| 16 | (30) | იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) | 1454 |
| 17 | (19) | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1415 |
| 18 | (23) | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 1393 |
| 19 | (20) | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 1350 |
| 20 | (15) | პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) | 1280 |
| 57 | (46) | ირაკლი ლაბაძე (საქართველო) | 703 |

**ქალები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (2) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 4527 |
| 2 | (3) | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 4155 |
| 3 | (4) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4057 |
| 4 | (1) | ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 4004 |
| 5 | (6) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3368 |
| 6 | (9) | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3014 |
| 7 | (5) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2815 |
| 8 | (8) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2598 |
| 9 | (7) | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2570 |
| 10 | (11) | სერენა უილიამსი (აშშ) | 2273 |
| 11 | (10) | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2146 |
| 12 | (12) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 2145 |
| 13 | (14) | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2009 |
| 14 | (13) | აი სუგიამა (იაპონია) | 1938 |
| 15 | (16) | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1753 |
| 16 | (15) | პაოლა სუარესი (არგენტინა) | 1592 |
| 17 | (19) | ელენა ბოვინა (რუსეთი) | 1475 |
| 18 | (20) | კაროლინა შპრემი (ხორვატია) | 1415 |
| 19 | (18) | ალიშა მოლიკი (ავსტრალია) | 1349 |
| 20 | (17) | ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) | 1319 |

### ჩემპიონთა რბოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1087 |
| 2 | (2) | ენდი როდიკი (აშშ) | 647 |
| 3 | (4) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 611 |
| 4 | (5) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 484 |
| 5 | (3) | გილერმო კორია (არგენტინა) | 480 |
| 6 | (7) | ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 432 |
| 7 | (6) | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 383 |
| 8 | (9) | ანდრე აგასი (აშშ) | 348 |
| 9 | (8) | მარატ საფინი (რუსეთი) | 317 |
| 10 | (10) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 274 |
| 11 | (13) | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 267 |
| 12 | (17) | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 262 |
| 13 | (11) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 260 |
| 14 | (28) | იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) | 254 |
| 15 | (16) | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 248 |
| 16 | (12) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 245 |
| 17 | (14) | ნიკოლას მასუ (ჩილე) | 234 |
| 18 | (15) | ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 225 |
| 19 | (30) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 204 |
| 20 | (25) | ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 200 |
| 60 | (60) | ირაკლი ლაბაძე (საქართველო) | 100 |

# გიორგი მამაცაშვილი პატარა პარიზელია

## რიდმა ერთი ქართველი მოინადირა



გიორგი მამაცაშვილის ოდისეა გრძელდება. ბერძნული და დიჟონური გასეირნების შემდეგ ახალგაზრდა ქართველი გამთამაშებელი პარიზში შეჩერდა, სადაც მინიმუმ ერთ სეზონს გაატარებს.

პარიზში დიდი საკალათბურთო ძვრებია. იქაური „რასინგი" საფრანგეთის ჩემპიონატში სულს ლაფავდა, ვალები აჩრჩობდა, ახლა კი ისე მოღონიერდა, პირველობას უმიზნებს. „რასინგი" იყიდა სატრანსფერო სააგენტო „ენტერსპორტმა", რომელსაც ქართველი ნბაელების მენეჯერი მარკ ფლეიშერი განაგებს. კლუბის პრეზიდენტად დაინიშნა ფლეიშერის მიერ სატრანსფერო საქმეების გამჩარხველად ევროპაში ხელდასმული რიდ სალივანი, რომელიც ქართველების მფარველად ითვლება ბებერ კონტინენტზე. და აი, პირველი ქართველი, რომელიც პარიზის მოღონიერებულმა კლუბმა იყიდა — სალივანმა ორიოდ კვირის წინ გუნდში მამაცაშვილის დაუძახა და დღეს უკვე გადაწყვეტილია გიორგის „რასინგში" დარჩენა.

„უკვე საკმაო დროა, მამაცაშვილი აქ იმყოფება და კლუბის ხელმძღვანელთა მოწონებაც დაიმსახურა. კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ ის აქ დარჩება — გვითხრა „რასინგის" პრეზიდენტმა რიდ სალივანმა გუშინ, პარიზში რომ შევეხმიანეთ — მამაცაშვილი ჯერ არაა ისეთი ჩამოყალიბებული კალათბურთელი, „რასინგის" ძირითად გუნდში დამკვიდრდეს. იგი ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდაა და ჯერჯერობით „რასინგის" დუბლებში ითამაშებს. არაა გამორიცხული, მან ამ სეზონშივე მოიპოვოს ადგილი ძირითად შემადგენლობაში, თუ, რა თქმა უნდა, საჭირო დონეს მიაღწევს. არადა, მინიმუმ ერთი წელი ის აქ იქნება და ახალგაზრდულ გუნდში ითამაშებს. ჯერ არ გადაწყვეტილა, რამდენწლიან კონტრაქტს გავუფორმებთ მამაცაშვილს, ეს რამდენიმე დღეში გაირკვევა."

მამაცაშვილისთვის „რასინგი" მეორე ფრანგული გუნდია. წინა სეზონის ბოლოს 3 თვე მან „დიჟონის" ახალგაზრდულ გუნდში გაატარა ვიქტორ სანიკიძესთან ერთად. მანამდე კი ის ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" იმყოფებოდა, სადაც მხოლოდ ვარჯიშობდა და არც ერთ ოფიციალურ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა.

„რასინგს" ვიქტორ სანიკიძის გადაბირებაც სურდა, თუმც არ გამოუვიდა, ცსკა-ელი გიორგი ცინცაძის შემატების იმედი კი პარიზელებს ჯერაც არ გადაწურვიათ.

**ირაკლი პერტაია**



# პატარა შუმი ახმაურდა

**გუშინ** ინგლისში, სილვერსტოუნის ლეგენდარულ ავტოდრომზე ფორმულა 1-ის ხუთმა საჯინიბომ მორიგი სატესტო სამდღიური დაიწყო.

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

საყოველთაო ყურადღების ცენტრშია „უილიამსის" პილოტი რალფ შუმახერი. თითქმის სამი თვის წინ უმცროს შუმის აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებისას უმძიმესი ავარია შეემთხვა, კისრის მალები დაუზიანდა და ექიმებმა 12 კვირით ვარჯიშიც კი აუკრძალეს. როგორც იქნა, სარეაბილიტაციო ვადა გასრულდა და მკურნალებმაც, გულდასმითი შემოწმების შემდეგ უკვე ექვს ეტაპგამოტოვებულ მრბოლს საჭესთან დაჯდომის ნება დართეს.

ახლა სერ ფრენკ უილიამსი მოუთმენლად ელის ბრიტანული ტესტების შედეგს, რის მერეც გაირკვევა, შეძლებს თუ არა 29 წლის გერმანელი მძღოლი 26 სექტემბერს ჩინეთის დიდი პრიზისთვის გაბრძოლებას.

პირველი დღის შედეგები საიმედოა. გუშინ წვიმიან დილით „სილვერსტოუნზე" რამდენიმე წრის შემოვლის შემდეგ რალფმა განაცხადა, ზურგის ტკივილი არ მქონია, ყველაფერი კარგადაა და მინდა, შანხაიში გამოვიდეო.





ვუელტა 2004 4 - 26 სექტემბერი



REUTERS

„ვუელტას" ლიდერთაგანი ალეხანდრო ვალვერდე წაიქცა, მაგრამ მერე მაინც გაიქცა

# ზაბრისკიმ წაიარმსტრონგა

**რამდენიმე** იოლი ეტაპის გავლის და ჩრდილო ესპანეთის წვრილ-გორაკების უკან მოტოვების შემდეგ ნამდვილი, ილაჯგამცლელი რბოლა გაჩაღდა: პელოტონი ეს სამი დღეა, მთებს შეუყვა. მრბოლებისთვის გუშინდელი დღე შედარებით უშფოთველი უნდა ყოფილიყო, რაკი გზა ძირითადად ზღვისპირა ვაკეზე მიედინებოდა და ზღვის დონიდან 620 მეტრს არ ასცილებია. მაგრამ ვის ეცალა მოსვენებისთვის, დაადო თავი ერთმა თავის მეცამეტე გოჭმა და შუაგზიდან მოწყდა პელოტონს. უცნობმა ამერიკელმა დევიდ ზაბრისკიმ თავადაც გული ამოიგდო (და მივიდა კიდეც პირველი ფინიშთან) და სხვებიც ააჩქარა. მაგრამ პელოტონი ვერ დაეწია თავზედურად მარტოკაცად გაჭრილს და ისე გამოვიდა, ზაბრისკის უკან მეორე ადგილისთვის გაჩაღდა სპრინტი. ამ საქმეში კი იტალიელ ალესანდრო პეტაკის ვერავინ ჯობს, მით უმეტეს, ბებერი მარიო ჩიპოლინის ჩამოწერის შემდეგ.

საერთო ჩათვლას კი კვლავაც ამერიკელი ფლოიდ ლენდისი ლიდერობს. ესეც და გუშინდელი გამარჯვებული ზაბრისკიც US პოსტალიდან არიან, ტურ დე ფრანსის ექვსგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგის გუნდიდან. არმსტრონგის თანაგუნდელებს მუდამ იმას უკიჟინებენ, ერთი კაცის მონები ხართ და ცალ-ცალკე ვერაფერს შეძლებთო. როგორც ხედავთ, პოსტალელ ბიჭებს უარმსტრონგოდაც შეუძლიათ რაღაც.

| XI ეტაპი. 14 სექტემბერი. სან ვისენტე — კარვაკა. 165.8 კმ | |
|---|---|
| 1 დევიდ ზაბრისკი (აშშ, US პოსტალი) | 4 სთ, 5 წთ, 31 წმ |
| 2 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) | +1 წთ, 11 წმ |
| 3 სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) | იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ფლოიდ ლენდისი (აშშ, US პოსტალი) | 40 სთ, 30 წთ, 33 წმ |
| 2 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) | +9 წმ |
| 3 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო) | +29 წმ |



# ჯონი ის კაცია...

## წასული ვუდვორდი უილკინსონის მოსვლის რეკომენდაციით მობრუნდა

**მსოფლიოში** ყველაზე ზუსტ და სახელგანთქმულ საათებს რომ შვეიცარიაში აწყობენ, საკმათო არაა. ყველაზე ცნობილი მესაათე კი, ყოველ შემთხვევაში, სპორტულ სამყაროში ინგლისელი კლაივ ვუდვორდი გახლავთ. სწორედ ეს კაცი თავკაცობდა ინგლისელ მორაგბეთა ნაკრების წლების განმავლობაში და „ვარდებს" შარშან მსოფლიოს ჩემპიონს ტიტულიც მოაგებინა, რაც აქამდე ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ვერა ნაკრებს მოეხერხებინა.



კლაივ ვუდვორდი ნაკრებს კაპიტნად ჯონი უილკინსონს ურჩევს

ვუდვორდმა ორიოდე კვირის წინ დატოვა პოსტი და პრემიერლიგის „საუთჰემპტონის" დირექტორატში გადაბარგდა. სად რაგბი და სად ფეხბურთიო, იკითხავენ მავანნი და იკითხეს კიდევაც, მაგრამ ამ დიდი სარაგბო მწვრთნელისთვის, როგორც ჩანს, ყველა სპორტული სახეობა მისაღები და ათვისებადია. ერთი პერიოდი ხომ კრიკეტიც არ იყო მისთვის უცხო და იქაც მწვრთნობდა.

რამდენად დიდ წარმატებას მიაღწევს ეს უნივერსალი მესაათე საფეხბურთო სარიბელზე ახლა ძნელი სათქმელია, თუმცა ერთი კი ფაქტია — მსოფლიოს თასზე მობურთალი ინგლისის ნაკრები მართლაც საათივით იყო აწყობილი და ამ მექანიზმში ერთ-ერთი მთავარი ჭანჭიკის როლს ახალგაზრდა ჯონი უილკინსონი ასრულებდა. მისმა უზუსტესმა დარტყმამ ფინალურ მატჩში გამარჯვება მოუტანა ინგლისელ „ვარდებს" და სარაგბო სამყაროში ჩრდილოური რევოლუციაც მოვიდა.

ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და აირია. ტრავმის გამო ნაკრებს უილკინსონი გამოაკლდა და ინგლისურმა საათმა ნელ-ნელა ჩამორჩენა დაიწყო. წლეულს გამართულ ტესტმატჩებში გუნდმა ბევრგან წაგება მოასწრო და გულშემატკივარიც 2003 წლის ტრიუმფის შემთხვევითობაზე ალაპარაკდა, ახალ ზელანდიას ცუდ ფორმაში მყოფს წამოეწია ტურნირიო, სამხრეთ აფრიკა საერთოდაც კრიზისში იყო და ავსტრალიას უბრალოდ, არ გაუმართლაო. ამგვარ მითქმა-მოთქმაში ალბათ ჭეშმარიტების მარცვალიც ურევია, მაგრამ მეორეს მხრივ, კრიზისი და ცუდ ფორმაში ყოფნა ყველამ თავის თავს დააბრალოს. ინგლისმა დიდებული რაგბი ითამაშა და თავისი საქმე საჩემპიონო დონეზე გააკეთა.

ამ ორიოდე კვირის წინ ნაკრებს, ვუდვორდის კვალად, კიდევ ერთი ქარიზმატული ფიგურა, კაპიტანი, ლოურენს დალალიო გამოაკლდა. მან კაპიტნობა მარტინ ჯონსონისაგან გადაიბარა, ახლა კი სანაკრებო კარიერის დასრულება გადაუწყვეტია და ინგლისს ახალი ლიდერი სჭირდება. აწ უკვე ყოფილი თავკაცი კლაივ ვუდვორდი კი ჯონი უილკინსონის კანდიდატურას უჭერს მხარს. ტელეკომპანია BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ვუდვორმა ორ კანდიდატად უილკინსონი და ხარისკისერა ბურჯი ფილ ვიკერი დაასახელა.

„ვფიქრობ, რომ არჩევანი ამ ორ პიროვნებას არ უნდა გასცდეს, რადგანაც ინგლისს ახლა ისეთი ლიდერი სჭირდება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გაუძღვება გუნდს" — ავტორიტეტული ტონით აცხადებს ვუდვორდი. ამასთანავე ის არ უარყოფს, რომ მისი სიმპათია უფრო უილკინსონისაკენ იხრება, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და თავის კლუბს „ნიუკასლ ფალკონზს" ერთი თვის წინ დაუბრუნდა.

„ჩემი აზრით, ჯონი ის კაცია, რომელსაც ხალხი ბოლომდე გაჰყვება. მას ლიდერის ყველა თვისება გააჩნია და, რაც მთავარია, თავადაც ძალიან უნდა კაპიტნობა. ჯონი ვარსკვლავი და ჩვენი ნაკრების მომავალია. მას უკაპიტნია ნაკრებისთვის ჩემი მწვრთნელობის პერიოდში და ვიცი, რომ მომავალშიც შესანიშნავი შკიპერი იქნება."

**ლადო ფულუკიძე**

ჭიდაობა

*ქართველმა „ბერძენ-რომაელებმა“ ათენის ოლიმპიადაზე საკადრისად ვერ იჩაუქეს. მართალია, „ბრინჯაოს ხანიდინ“ გამოვიდნენ, მაგრამ კინკილა ვერცხლი მაინც ცოტაა მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრებისთვის — ნამუსიანი მსაჯების ხელში მხოლოდ რამაზ ნოზაძის მედალს არ დავჯერდებოდით. „ბერძენ-რომაელთა“ თავკაცმა ბებო დარჩიამ გვითხრა, ოლიმპიადა მოსავლის ტურნირი იყო და თავად ფილა-მ გაანაწილა ხვავ-ბარაქაო. დარჩია „მამლუქების“ მტკივნეულ თემასაც შეეხო, ხოლო ჯერ თავისი ექვსი შეგირდის საათენო გარჯა შეაფასა...*

# თევზი ფილა-დან ყროლდება

## დავბრუნდები: დაგვიბარა დოხტურიშვილმა!



— ნებისმიერ სპორტსმენს აქვს კარიერაში ფორმის პიკი და ასე იყო ირაკლი ჭოჭუას (55 კგ) შემთხვევაშიც. არ დაგავიწდეთ, იგი ევროპის ჩემპიონატის ფინალისტია და მართალია, ბოლო წლებში შთამბეჭდავი შედეგები არ ჰქონდა, მაგრამ ათენში მედლის ღირსი ნაღდად იყო. ირაკლიმ განსაკუთრებით კარგად ჩაატარა ჯგუფური შეხვედრა თურქ მსოფლიოს ჩემპიონთან და მეთოხედფინალში უკრაინელ ვაკულენკოსაც ჯობდა, მაგრამ ყველამ ნახა, რაც მოხდა.

... უარეს დღეში ჩააგდეს აკაკი ჩაჩუა (60 კგ). საყაიმო ანგარიშისას უზბეკი აკაკის ხიდურიდან გაექცა. წესით, უპირატესობა ჩვენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ტაბლოზე 6:5 აინთო მეტოქის სასარგებლოდ. დასანანი ისაა, რომ ჩაჩუა 35 წლისაა და ოლიმპიადაზე გამოსვლას ველარ შეძლებს.

... მანუჩარ კვირკველიას (66 კგ) არ ვამართლებ, ოლიმპიადის დროს ყოველგვარ უხეშობაზე უნდა მოეთოკა ნერვები, მაგრამ ეს მისი სუსტი წერტილია, რაც თურქმა ეროლლუმაც მშვენივრად იცოდა, ხელების მტვრევას მოჰყვა და ფსიქოლოგიურად მოშალა ჩვენიანი. კვირკველია კი ჭიდაობისას ასეთ სიბინძურეს არასოდეს იკადრებს.

... მუხრან ვახტანგაძეს (84 კგ) ყველაზე უხერხული მეტოქე ერგო ჯგუფში და, რაც მართალია, ეგვიპტელმა დამსახურებულად მოუგო.

... მირიან გიორგაძე (120 კგ) ნახევრად ინვალიდი ფალავანია, ტრავმები სულ თან სდევს და რაც შეეძლო, იჭიდავა. თანაც მომავალ ფინალისტ გიორგი წურწუმიას სძლია. ჩვენ კარგად გვქონდა შესწავლილი წურწუმიას სტილი და ეს გამოვიყენეთ.

... რამაზ ნოზაძეს (96 კგ) ძალიან მძიმე შეხვედრები ჰქონდა. თუნდაც გოგი კოლუაშვილთან, რომელმაც შარშანდელი მსოფლიოსა და წლევანდელი ევროპის ჩემპიონი შვედი ლინდბერგი ჩატოვა ჯგუფში.

— ცალკე სალაპარკოა ფინალი: ვითომ იმდენად ძლიერია ეგვიპტელი იბრაჰიმი ნოზაძეზე, როგორც ეს გამოჩნდა?

— იბრაჰიმს გახსნილ ჭიდაობაში არ უნდა აჰყვე, უფრო უხეში და პრაგმატული სტილი უნდა დაუპირისპირო. რამაზმა ეს იცოდა, მაგრამ ჯერ მაინც ძალიან ახალგაზრდაა და ერთ მომენტში გამოცდილებამ დაალალატა.

— ამ მომენტს ხომ არ გულისხმობთ, ნოზაძეს ზუსტ გდებამდე ცოტალა რომ დააკლდა?

— დიახ, ეს რომ მოეხერხებინა, სულ სხვა ბრძოლა იქნებოდა და ვფიქრობ, ოქროს მედალი ჩვენ დაგვრჩებოდა. რამაზმა ბავშვივით, ძალიან იოლად მოუნდომა დაჩაგვრა. ეგვიპტელი კი ერთობ ელასტიკურია, უცბადვე მოახერხა ორიენტაციის შენარჩუნება.

— იბრაჰიმი ბოლო ორი წელია, ბობოქრობს. არადა, უკვე ასაკშია და ალბათ ეს რამაზის საპეკინო შანსებს ზრდის...

— ეგვიპტელი 28 წლისაა. რამაზს მასთან ყოველთვის ექნება შანსი და იმედი მაქვს, აჯობებს კიდეც. ძალიან ეწყინა ფინალის წაგება, მოვიდა და მითხრა — დანაპირები ვერ შეგისრულე, შენ რომ მითხარი, წლეულს ევროპას მოიგებ და გაისად კი ოლიმპიადასო, ერთი ნაბიჯი დამაკლდაო.

— ყველაზე დიდ სტრესს, ალბათ, კვირკველია განიცდის. მას ხასიათის მოჭიდავედ ვიცნობთ და ხომ არ შიშობთ, რომ ათენური ინციდენტი სამუდამოდ დათრგუნავს?

— როგორც იცით, ორი წლის წინ წონითი კატეგორიები შეიცვალა, მანუჩარმაც რამდენიმე კილო დაიკლო, რაც ფსიქოლოგიურადაც ფიტავს და ასუსტებს სპორტსმენს. კვირკველიამ ორი წელი გაუძლო, ევროპაზე ვერცხლი აიღო, მსოფლიოზე ოქრო და ბრინჯაო, წლეულს კი გაუჭირდა. ეროლლუსთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ ლამის გაგიჟებას იყო და ძლივს დავაწყნარეთ. ახლაც არაა უკეთეს დღეში, მაგრამ მჯერა, ყველაფერს დაივიწყებს. აქვე გეტყვით, რომ მანუჩარი ალბათ 74 კილოგრამში აინაცვლებს.

— ფილა წონით კატეგორიებს ან წესებს კიდევ ხომ არ შეცვლის?

— წესებს ცვლიან. სამი ორწუთიანი პერიოდი იქნება და, რაც მთავარია, ჩოქბჯენს გააუქმებენ. ამის ნაცვლად მოჭიდავე ჯვარედინ ჩავლებაში მიიღებს უპირატესობას. ეს ყველაფერი სანახაობრივ მხარეს გაზრდის, პირადად მეც ტექნიკური ჭიდაობის მომხრე ვარ.

— ვითომ ეს უშველის მსაჯობას? საინტერესოა, არ არსებობს არავითარი პროტესტის ფორმა?

— ვისაც რეგალიები აქვს, ის ყოველთვის ჩააწყობს. არ უნდა ვამბოდე, მაგრამ ასეთ გაუგებრობაში ჭიდაობა შემზარდა და ისიც ვიფიქრე, რა აზრი აქვს ათენში ჩამოსვლას-მეთქი. რასაკვირველია, რიგითი მსაჯები შეკვეთებს ასრულებენ — დამკვეთი კი ფილა გახლავთ.

— ისეთი მომენტები თუ იყო, ქართველისთვის რომ გადმოეყოლებინათ ქულა?

— ჩვენთვის ქულა არავის უჩუქებია. არ გეგონოთ, მხოლოდ ქართველებს ჩაგრავდნენ. რასაც ცოცხლად ვუყურე, უკრაინელს წააგებინეს რუს სამურგაშევთან, ასევე ბულგარელ ნაზარიანს მოაგებინეს ნახევარფინალი...

— ყველაზე მეტად რომელი ქვეყნის მოჭიდავეებს სწყალობენ?

— ვერ გაიგებ. ფილა-ს ტენდენცია გამოკვეთილია: ცდილობენ, რაც შეიძლება, ბევრ ქვეყანაზე გადანაწილდეს მედლები. მსაჯები მსაჯებად და კენჭისყრაშიც არ გაგვიმართლა: განთესვა არ იყო, თორემ კვირკველია — ეროლლუს ბრძოლას ჯგუფში რა უნდოდა... შედარებით იოლი ბადე ჰქონდა მხოლოდ ჩაჩუას და მას ნამდვილად შეეძლო მედლისთვის ბრძოლა, მაგრამ ვინ დააცადა...

— „მამლუქებზეც“ ვთქვათ. ალექსანდრე დოხტურიშვილი 74 კილოგრამში საქართველოშიც არ იყო პირველი და მისი ოლიმპიური ჩემპიონობა სიურპრიზად აღიქმება?

— დოხტურიშვილმა დაამტკიცა, რომ თავის წონაში ბადალი არ ჰყავს, მაგრამ ის აქ ბადრი ხასიასთან აგებდა. დოხტურიშვილმა 2001 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო 69 კილოგრამში და წონის შეცვლას უცებ ვერ შეეგუა, რის გამოც პირველი ნომრის სტატუსი დაკარგა. მას რკინის ნერვები აქვს და ამას ჯერ კიდევ უზბეკეთში წასვლამდე ვეუბნებოდი.

— ახლა ალბათ ნანობთ, მაგრამ თავის დროზე ხომ შეიძლებოდა მისი შენარჩუნება?

— იცით, ხასაია 2002 წელს ბრწყინვალე სეზონს ატარებდა და მორალური უფლებაც არ მქონდა, მასზე წინ ვინმე დამეყენებინა. დოხტურიშვილი ჩემთან მოვიდა და ალალად მითხრა, ოლიმპიადაზე მინდა ჭიდაობა და ხელს ნუ შემიშლითო.

— ესე იგი ნაწყენი არ წასულა...

— პირადად ჩემგან არა.

— ეკრანზე ჩანდა, რომ დოხტურიშვილის ჩემპიონობა უზბეკებზე ნაკლებად არ გაგხარებიათ. მას ხშირად ხვდებოდით ათენში და საქართველოში დაბრუნებაზე ხომ არ გილაპარაკიათ?

— არა მარტო დოხტურიშვილის, გიორგი წურწუმიას ვერცხლის მედალიც გაგვიხარდა. მათ ერთი წუთითაც არ დავიწყებიათ, სად აიდგეს ფეხი და სად ისწავლეს ჭიდაობა. სხვათა შორის, უზბეკეთში წასვლის წინ დოხტურიშვილმა მითხრა, აუცილებლად დავბრუნდებიო...

— ახლა ეს რეალურად მიგაჩნიათ?

— არ ვიცი, მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. დოხტურიშვილიც და სხვებიც ერთ კვირაში თავიანთ სახლებში ჩამოვლენ. ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**



ალექსანდრე დოხტურიშვილმა იქნებ ქართული დროშითაც იჩემპიონოს

წყალბურთი

# წყალბურთელებმა ჯგუფიდან ვერ გაცურეს



სოსო მაისურაძის ჭაბუკები
მეცხრე ადგილისთვის იბრძოლებენ

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა მალტის აუზში ვერ იყოჩაღა. ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ჩვენებურებმა ჯგუფური ეტაპი კინკილა ქულით მოითავეს და ახლა 9-16 ადგილებისთვის მოუწევთ გარჯა.

ფრანგებთან 7:7 ფრით დაწყების შემდეგ სოსო მაისურაძის გაწვრთნილებმა გადამწყვეტი მატჩი სლოვაკ თანატოლებთან 7:8 დათმეს. ქართველთაგან ორი გოლი შეაგდო ილია ბუტიკაშვილმა, ხოლო ბექა ქენქაძემ, ზურაბ რურუამ, გურამ კოტარიამ, ტატო ნიკოლეიშვილმა და კაპიტანმა თამაზ მანძულაშვილმა თითოჯერ იხეირეს. ისევ მსაჯობა... ჩვენი ნაკრების თავკაცობა აღშფოთებულია, ბოლო მეოთხედში ზედიზედ სამი მოთამაშე გაგვიძევეს, სანამ სლავებს არ გაამარჯვებინეს, თავისი დაიმართესო, არადა თამაში ბურთი-ბურთში მიდიოდა, სლოვაკები ერთ მომენტში 5:3 დაწინაურებულან, მაგრამ ბოლო შვიდწუთეულის გაძევებების კასკადამდე ქართველებს 7:6 წინ გასვლა მოუხერხებიათ.

სლოვაკებთან მარცხმა ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების შანსი დაგვიკარგა და ჯგუფის მესამე მატჩი სერბებთან ფორმალობაღა იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენებმა ევროპის მოქმედ ჩემპიონთან ვერაფერი გააწყეს და 7:14 დათმეს. სერბები მალტის აუზშიც ზვიგენებივით დაცურავდნენ, საფრანგეთი 20:9 შემუსრეს და სლოვაკეთსაც შავი დღე აყარეს — 15:3. ასე რომ გამოდის, ჩვენებს კიდევ ლმობიერად მოქცევიან.

მოკლედ, ერთი ფრე და ორი მარცხი — ქართველები ქვედა ეშელონში გააგრძელებენ ბრძოლას. დღეს დასვენებაა, ხოლო ხვალ და ზეგ ჩვენები B ჯგუფის აუტსაიდერებს — უნგრეთ-რუსეთისგან ძლეულ ჰოლანდიასა და დიდ ბრიტანეთს გაეჯიბრებიან. ამ ორი მატჩის მოგების შემთხვევაში, ჩვენები 9-12 ადგილებისთვის სცდიან ბედს. პრინციპში, მე-10 ადგილი უკვე წარმატება იქნება — სოსო მაისურაძე რეალურად ამას ისახავდა მიზნად...

**ილია ნანობაშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
## ჯგუფური ეტაპი. I ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**არსენალი 1:0 პსვ ეინდჰოვენი**

1:0 ალექსი (42ს.კ.)

**არსენალი:** ლემანი, ლორენი, სიგანი, ტურე, ე. კოული, ბერხკამპი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი, რეიესი (ედუ 79)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**პსვ ეინდჰოვენი:** ზუტებირი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, კოკუ (ჯ. დე იონგი 83), ფოგელი, ბესლი (ფარფანი 59), სიბონი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 67)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

გაფრთხილება: ოიერი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

34 068 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 2:1 რუსენბორგი**

1:0, 2:0 გონსალესი (42, 79), 2:1 ფ. იონსენი (90)

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, მორისი, გუმასი, კირიაკოსი, მიუნხი, მიტუ (მარიჩი 73), ბასინასი, სკაჩელი (კონსტანტინიდისი 87), ე. გონსალესი, პაპადოპულოსი, კონსტანტინუ (ანდრიჩი 57)

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

**რუსენბორგი:** ე. იონსენი, რისეტი, ჰოფტუნი, ბასმა (რასელი 24), დორსინი, სტრანდი, ვინსნესი, ო. ბერგი, სოლი (ბრატბაკი 85), სტორფლორი, ფ. იონსენი

მწვრთნელი: ოლა-ბი რისე

მსაჯი: პოლ ალერტი (საფრანგეთი)

13 204 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| რუსენბორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| პსვ ეინდჰოვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### F ჯგუფი

**სელტიკი 1:3 ბარსელონა**

0:1 დეკო (20), 1:1 სატონი (59), 1:2 ჟიული (78), 1:3 ლარსონი (82)

*რონალდინიომ ვერ გაიტანა პენალტი (55, მეკარე)*

**სელტიკი:** მარშალი, აგატი, ბალდე, ვარგა, მაკნამარა (სილა 78), პეტროვი, ლენონი, ა. ტომპსონი, ჟუნინიო პაულისტა (სატონი 46), ჰარტსონი (ვალგაერენი 62), ა. კამარა

მწვრთნელი: მარტინ ონილი

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი (ოლეგერი 62), ვან ბრონკჰორსტი, ხერარდი, ხავი, დეკო, ჟიული, რონალდინიო (ლარსონი 62), ეტოო (ინიესტა 74)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ჰარტსონი, ჟუნინიო პაულისტა, მარკესი, მაკნამარა

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

58 589 მაყურებელი

**შახტარი 0:1 მილანი**

0:1 ზეედორფი (84)

**შახტარი:** ლაშტუვკა, ბარკაუანი, დულიაი (აგაპოვა 86), ლევანდოვსკი, რაცი, სრნა, ტიმოშჩუკი, მატუზალემი, ვუკიჩი, ვორობეი (ბატისტა 77), მარიკა

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო (დორასო 71), პირლო (რუი კოშტა 75), ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ტომასონი (კრესპო 63)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: სრნა, ტომასონი, სრნა, კაფუ, დორასო

გაძევება: სრნა (53)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| შახტარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სელტიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### G ჯგუფი

**ინტერი 2:0 ვერდერი**

1:0, 2:0 ადრიანო (34პ, 89)

*ვიერიმ ვერ გაიტანა პენალტი (6, მეკარე)*

**ინტერი:** ტოლდო, ხ. ძანეტი (ზე მარია 52), კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვან დერ მეიდე, ვერონი, ემრე, სტანკოვიჩი (კამბიასო 82), ვიერი (რეკობა 78), ადრიანო

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

**ვერდერი:** რაინკე, პასანენი, ისმაელი, ფარენჰორსტი, სტალტერი, ბოროვსკი, ბაუმანი (მანინი 36), ერნსტი, მიკუ, კლასნიჩი (ხარისტიასი 61), ნ. ვალდესი (კლოზე 82)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: კორდობა, ბაუმანი, ფავალი, მიკუ

გაძევება: ისმაელი (5)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

46 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 ანდერლეხტი**

1:0 ვისენტე (17), 2:0 ბარახა (44)

**ვალენსია:** კანისარესი, კურო ტორესი, დ. ნავარო, მარჩენა, კარბონი, რუფეტე (კორადი 58), ბარახა, ალბელდა (სისოკო 73), ვისენტე, აიმარი (ფიორე 77), ანგულო

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

**ანდერლეხტი:** ზიტკა, ვანდენ ბორე, კომპანი, ლ. ტრაორე, დეშახტი, ვილჰელმსონი, ბასეჯიო, ჰასი (ზეტერბერგი 56), ჟევლაკოვი (ლოვრე 81), მპენზა, დინდანე

მწვრთნელი: უგო ბროოსი

გაფრთხილება: ტრაორე, რუფეტე, ჟევლაკოვი, მარჩენა

მსაჯი: ბერტრან ლაისი (საფრანგეთი)

45 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ანდერლეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### H ჯგუფი

**პსჟ 0:3 ჩელსი**

0:1 ტერი (29), 0:2, 0:3 დროგბა (45, 75)

**პსჟ:** ლეტიზი, მენდი, პიერ-ფანფანი, არმანი, მბამი, ჩანა, ელდერი, კორიდონი (ლიუბოია 66), როტენი (ატება 84), პაულეტა, ოგბეჩე (პანკრატი 73)

მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

**ჩელსი:** ჩეხი, პ. ფერეირა, გალასი, ტერი, ბრიჯი, ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული (ჯერემი 70), დროგბა (დაფი 81), გუდიონსენი (კეჟმანი 11)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ელდერი, ლამპარდი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

53 000 მაყურებელი

**პორტუ 0:0 ცსკა**

**პორტუ:** ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, პეპე, არეიაში, კვარესმა (უგო ლეალი 73), კოშტინია, მანიშე, დიეგო, კარლოს ალბერტო (ლუის ფაბიანო 65), პოსტიგა (მაკკარტი 82)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

**ცსკა:** აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ოდია, ალდონინი (ვ. ბერეზუცკი 87), ჟირკოვი, იაროშიკი, რახიმიჩი, ოლიჩი, ვაგნერი (სემაკი 87)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

გაფრთხილება: ოდია, ჟირკოვი, ჟორჟე კოშტა, აკინფეევი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ცსკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პორტუ | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პსჟ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# ტომპსონმა ლარსონი გოლზე დააპატიჟა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პსჟ — ჩელსი. დროგბა-მაურინიუს: ხომ გეუბნებოდი, გავიტან-მეთქი

REUTERS

**ბრემენელ** „მუსიკოსს“ ვალერიან ისმაელს „სან სიროზე“ მალე მოსწყინდა და მეხუთე წუთზე ადრიანოს წაქცევისთვის გააძევეს. „ვერდერის“ ფრანგი მცველი რეკორდის თანაავტორი გახდა: 2002 წელს „ინტერთან“ მატჩში ნიუკასლელი კრეიგ ბელამიც მეხუთე წუთზე მიაბრძანეს მოედნიდან და ეს ჩემპიონთა ლიგის უსწრაფესი გაძევებაა.

პირველი ვერგატანილი პენალტის ავტორი საამსეზონო ლიგაში კრისტიან ვიერია, რომლის დარტყმულიც ბრემენელთა მეკარემ მოიგერია. მოგვიანებით ადრიანომ მისივე წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანის შესრულება „ბობოს“ არ ანდო და თავად ივარგა.

ამ სეზონის ლიგის პირველი გოლი კი ვალენსიელმა ვისენტემ მიითვალა, რომელმაც „ანდერლეხტს“ მე-17 წუთზე გაუტანა. შესვენებამდე წუთით ადრე რუბენ ბარახამ ბელგიელებს მეორეც მიართვა და კლაუდიო რანიერის გუნდმა მოგებით დაიწყო.

საკუთარ კარში გატანილი პირველი გოლი პსვ-ელი ალექსის ანგარიშზეა. „არსენალმა“ ჰოლანდიელებს რომ ვერაფერი დააკლო, სტუმრის უილბლობით იხეირა.

„პანათინაიკოსი“ გამარჯვებას არგენტინელ ლეგიონერ ეზექელ გონსალესს უნდა უმადლოდეს. მან დუბლი შეასრულა და „რუსენბორგი“ შინ ხელცარიელი გაუშვა. ნორვეგიელებმა შეხვედრის ბოლო წუთზე შეძლეს ერთის გაქვითვა.

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი ჟოზე მაურინიუმ პარიზში გაბითურა, „მარსელში“ გამოზრდილ დიდიე დროგბას ალბათ „მარსელი“ — პსჟ-ს მტრობის ამბავი არ დავიწყებია და დედაქალაქელებს წყვილი გოლი გაუტანა, მას შემდეგ, რაც ჯონ ტერიმ ანგარიში გახსნა. საფრანგეთის ჩემპიონატში წარუმატებლობას ახლა ლიგაში „ჩელსისგან“ ალიყურიც მიემატა, რამაც ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს შესაძლოა, პარიზიდან წასასვლელი ბილეთი მალე აალებინოს.

ვალერი გაზაევის ცსკა-სთვის ჩემპიონთა თასის მფლობელ „პორტუსთან“ აღებული ქულა ურიგო არ უნდა იყოს, თუმც ცხადია, რომ ეს „პორტუ“ ოთხი თვის წინანდელივით ძლიერი აღარაა.

დონეცკში „შახტარი“ ებდღვნა „მილანს“ და საჯარიმოს მოედანი გადაუთელა კიდეც, მაგრამ აურაცხელი საგოლე მომენტების მიუხედავად, მასპინძლებმა დიდას კარში ბურთი ვერ შეაგდეს.

მეორე ტაიმში „შახტარს“ ხორვატი დარიო სრნა გაუძევეს, ხოლო კლარენს ზეედორფმა ლონივრად მოქნეული ფეხით „მილანის“ გამარჯვებისა გაიტანა.

გლაზგოში თამაში ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო, რადგან სტადიონის შესასვლელს ქომაგები მიაწყდნენ და ამან არეულობა გამოიწვია. ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი „სელტიკის“ გულშემატკივართა სიმღერაში ჩაიკარგა, გვიან დაწყებულმა და საამო ფეხბურთმა კი სიამოვნება ნახევარი საათით გაგვიგრძელა. პირველი ტაიმი „ბარსელონასი“ იყო და კატალონიელები ბურთს კოხტად დააგორებდნენ. რონალდინიოს პასით დეკომ ანგარიში გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში „რონიმ“ პენალტი კრისტიან ვიერისავით დაარტყა. ამ ეპიზოდიდან ოთხ წუთში სატონმა გაათანაბრა და „სელტიკმაც“ აჭრილ „ბარსელონას“ თავბრუ დაახვია, თუმც უგოლოდ. შეცვლაზე ჰენრიკ ლარსონის შესვლას „სელტიკ პარკის“ ნაწილი სტვენით შეეგება. ლარსონმა სტუმართა მეორე საგოლე კომბინაცია წამოიწყო და ჟიულიმ მარშალს მარჯვენა კუთხეში გაუტანა.

ბოლოს ძველი სელტიკური გოლი გავიდა — ალან ტომპსონმა საკუთარ მეკარეს თავით დაუბრუნა ბურთი, რომელიც შვედმა მოიხელთა, მეკარეს გასცდა და ცარიელ კარში შეაგორა. ლარსონს სახეზე სიხარული არ ეტყობოდა. იგი ხომ „სელტიკის“ ისტორიის ნაწილია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის ძმა გადადგა



**გუშინ** მარსელო ბიელსას ტანჯვა დასრულდა, ანუ იგი ნაკრების მწვრთნელობიდან თავისი ნებით წავიდა. ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ განაცხადა.

„ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ბიელსამ ექვსი წელი შეალია ნაკრებს. ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ველარ გაუძლო და წასვლა ისურვა“ — თქვა გრონდონამ.

ახლა არგენტინის ეროვნული გუნდის მწვრთნელობას კარლოს ბიანკის უწინასწარმეტყველებენ, რომელმაც „ბოკა ხუნიორსს“ ოთხ სეზონში სამჯერ მოაგებინა ლიბერტადორესის თასი.

სათქმელი ერთიცაა, ქომაგები მარსელო ბიელსას გადადგომას ჯერ კიდევ ორი წლის წინ ითხოვდნენ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინამ ჯგუფიდან ვერ გააღწია.

მარსელო ბიელსას ძმა რაფაელი ამჟამად არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრია.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ინგლისი

**ჩემპიონატი VIII ტური**

ბრაიტონი 0:1 ვულვერჰემპტონი
კარდიფი 0:3 უოტფორდი
ძრიუ 0:2 ძუინზ პარკი
ლესტერი 3:2 შეფილდ იუნ.
პლიმუთი 0:1 ლიდსი
სტოკი 3:2 იფსვიჩი
ვესტ ჰემი 1:0 როტერჰემი
რედინგი 3:1 პრესტონი
სანდერლენდი 2:0 ნოტინგემი
უიგანი 0:0 ბარნლი

**I ლიგა. გადადებული მატჩი**

ტრანმერი 2:0 ოლდემი

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა VIII ტური**

არმინია (მ) 3:4 ჰამბურგი (მ)
მიუნსტერი 1:2 იურდინგენი
დორტმუნდი (მ) 2:1 ოსნაბრიუკი
ქემნიცი 0:2 ვუპერტალი

**სამხრეთ რეგიონალლიგა VI ტური**

რეგენსბურგი 0:0 კიკერსი
ნოტინგენი 2:1 მაინცი (მ)
პფულენდორფი 3:1 აალენი
ბაიერნი (მ) 4:2 მიუნხენი (მ)
ჰოფენჰაიმი 0:1 ოფენბახი
ელვერსბერგი 1:2 ფოიხტი

### შვედეთი

**ალსვენსკა. XIX ტური**

ჰალმსტადი 2:2 მალმიო

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XXIV ტური**

ჰიკ 2:2 ლაჰტი

### შოტლანდია

**ლიგის თასი. II ეტაპი**

ფოლკირკი 3:0 გრეტნა
ბერვიკი 0:1 სენტ ჯონსტონი

### იტალია

**თასის II ეტაპი. I მატჩი**

ტორინო 1:0 კიევო

# ბარაქიანდები

ლაღობენ და ღიმილობენ ბარაქიანი უილიამსდები — ვინუსი და სერენა. მთელი ქვეყნის დასანახად გამხლართულან კორტზე და სულ თავის ჩაკუნთულ ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი... საქმე ნიუ იორკში ხდება, მაკდონალდსის მავანი საქველმოქმედო აქციისას. დათა მონაწილეობა აქციას მეტ ხიბლს მატებს და იმ ბავშვებსაც, ვისაც მაკდონალდსი ყოველწლიურად ეხმარება ხოლმე, მეტი თანხა ერგებათ. აბა, ბავშვთა გასახარებლად კორტზე ეგრე ბარაქიანად გამხლართვას წინ რა უდგას. არც არაფერი, ამბობენ მამა რიჩის გოგოცუნები და ავაზებივით იზმორებიან.



REUTERS ლოს ანჯელესიდან


REUTERS ნიუ იორკიდან

# უიმბლდონი ლოს ანჯელესში

ბევერლი ჰილზზე იმ დღეს უიმბლდონის ჩემპიონებსაც ნახავდით — ისინი ერთ-ერთ იქაურ კინოთეატრში ახალი ჰოლივუდური ფილმის პრემიერაზე მიეწვიათ. ფილმს „უიმბლდონი" ჰქვია და მასში ცნობილი მსახიობები, კირსტენ დანსტი და პოლ ბეთანი მონაწილეობენ. ფილმის სანახავად ლეგენდარული ამერიკელი ქრის ევერტი თავის მოთხილამურეყოფილ მეუღლე ენდი მილთან და თავიანთ სამ ვაჟთან — ალექსანდერთან, ნიკოლასსა და კოლტონთან ერთად მივიდა. უიმბლდონის წლევანდელ დედოფალ მარია შარაპოვას კი გვერდს არავინ უმშვენებდა. უფრო სწორედ — ის არავის უმშვენებდა გვერდს. და საერთოდ, მანამდე არავის აუდგეს გვერდები, სანამ მაგან გვერდი არ დაამშვენებინებინოს.


REUTERS ლოს ანჯელესიდან

# გმირთა დახვედრა

ამოტოლა ჩილეს აქამდე ერთი ოლიმპიური ოქროც ვერ ეშოვა. ისე რა ჩოგბურთელებმა — ნიკოლას მასუმ (მარცხნიდან მეორე) და ფერნანდო გონსალესმა (მარჯვნიდან პირველი) ათენის ოლიმპიადაზე სამშობლოს ერთბაშად ორი ოქრო უშოვეს. მასუმ — კენტთა შორის, ორივემ ერთად კი — წყვილებში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა რიკარდო ლაგოსმა ისინი თავის სასახლეში მიიღო და ათიათასობით ქომაგის თვალწინ აივანზეც გამოადრომებინა.


REUTERS სანტიაგოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოხიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge